2019

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017 -2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

© ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო

სარჩევი

შესავალი..... 4

1.ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის პოლიტიკის განვითარება 7

ამოცანა 1.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე კვლევის განხორციელება..... 7

2.ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია 13

ამოცანა 2.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის შესახებ ცნობიერების ამაღლება 13

ამოცანა 2.2. ქუჩაში მცხოვრები და ქუჩაში მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირება და არასრულწლოვანთათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება..... 35

3.ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა 38

ამოცანა 3.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრების) ეფექტური საქმიანობა 38

ამოცანა 3.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება ნებაყოფლობით და უსაფრთხოდ და დაბრუნებულთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა..... 40

4.ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნა 42

ამოცანა 4.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიებისათვის პროაქტიული მიდგომების და სხვა უახლესი მეთოდოლოგიების დანერგვა საუკეთესო უცხოური პრაქტიკის გამოყენებით;..... 42

ამოცანა 4.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების პროაქტიული გამოვლენა ... 46

5.ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება 50

ამოცანა 5.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეების გამოძიების დახვეწის მიზნით სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების პროფესიული განვითარება..... 51

ამოცანა 5.2. სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა პროფესიული განვითარება... 59

ამოცანა 5.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება 59

ამოცანა 5.4. შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება..... 61

ამოცანა 5.5. საკონსულოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარება..... 62

ამოცანა 5.6. მედიის წარმომადგენლების პროფესიული განვითარება 63

ამოცანა 5.7. იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება..... 63

ამოცანა 5.8. იუსტიციის სახლების, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებისა და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომელთა პროფესიული განვითარება 64

ამოცანა 5.10. შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება..... 64

ამოცანა 5.11. ქუჩაში მცხოვრები ან/და ქუჩაში მომუშავე ბავშვთა ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება 65

6.თანამშრომლობა და შიდა კოორდინაცია 65

ამოცანა 6.1. სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე ინფორმაციის შეგროვება 66

ამოცანა 6.2. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება..... 67

ამოცანა 6.3. ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება 70

ამოცანა 6.4. ახალი სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადება და დამტკიცება..... 73

შესავალი

ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საქართველო აქტიურად აგრძელებს ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობას, ამ დანაშაულის ეფექტიან გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის ეფექტიანი დახმარების აღმოჩენას, მათ საფუძვლიან რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

ტრეფიკინგთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 1 სექტემბრის №534 ბრძანებულებით ინსტიტუციურ დონეზე შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში – საბჭო), რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის №281 დადგენილებით ხელახლა დამტკიცდა საბჭოს შემადგენლობა და მისი დებულება.

საბჭო კოორდინაციას უწევს ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო უწყებების მუშაობას, მონიტორინგს ახორციელებს ეროვნული სამოქმედო გეგმის ჯეროვან შესრულებაზე, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, დანაშაულის პრევენციისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე, ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდულ და საბოლოო ანგარიშებს.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით 2016 წლის 15 დეკემბერს საბჭომ დაამტკიცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ორწლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმა (შემდგომში –სამოქმედო გეგმა), რომელიც მოიცავს 2017-2018 წლებში განსახორციელებელ საქმიანობებს.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა **საერთაშორისო ორგანიზაციების** (ევროპული კომისია, ევროპის საბჭოს ტრეფიკინგთან ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი (GRETA), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი), **გაეროს სპეციალური მომხსენებლების** (ბავშვთა ვაჭრობის, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებელი და სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ), **ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა** და **საქართველოს სახალხო დამცველის** რეკომენდაციები.

სამოქმედო გეგმა ეყრდნობა საერთაშორისოდ აღიარებულ „4P“ პრინციპს:

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა;
- თანამშრომლობა;

სამოქმედო გეგმა, ასევე, დიდ ყურადღებას უთმობს ტრეფიკინგის თემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კომპონენტს, ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე პირების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პროფესიული ტრენინგების ჩატარებასა და ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების, როგორც ტრეფიკინგის დანაშაულის ერთ-ერთი მოწყვლადი ჯგუფის იდენტიფიცირების, დაცვისა და დახმარების საკითხს.

აღსანიშნავია, რომ 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმაში აისახა ახალი მიმართულება - ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის პოლიტიკის განვითარება, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის კვლევების ჩატარება ტრეფიკინგის კუთხით არსებული გამოწვევების საპასუხო ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

აღნიშნული პრინციპების შესრულების მიზნით სამოქმედო გეგმაში გაწერილია შესაბამისი ამოცანები, საქმიანობები, პასუხისმგებელი უწყებები, პარტნიორი ორგანიზაციები, კონკრეტული საქმიანობის შესრულების ვადები და განხორციელებული ღონისძიებების შეფასების ინდიკატორები.

სახელმწიფოს მიერ ზემოაღნიშნული მიმართულებებით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2016 წლის ანგარიშით საქართველომ გადაინაცვლა ე.წ. 1-ელ კალათაში და ანალოგიური ადგილი შეინარჩუნა 2017 და 2018 წლების ანგარიშებითაც, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს და მთავრობა სისტემატურად ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 2018 წლის ანგარიშით პირველად აღმოსავლეთის პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის მხოლოდ საქართველო მოხვდა რეიტინგული სკალის უმაღლეს საფეხურზე. ამასთან, ანგარიშში პირველად გამოიყო საქართველოს მთავრობის ძალისხმევა მიუსაფარი ბავშვების პრობლემის აღმოფხვრის მიმართულებით. ჩვენი ქვეყნის მოდელი საუკეთესო მაგალითად დასახელდა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ოფისმა საქართველოს ტრეფიკინგთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა და ეროვნული რეფერალური მექანიზმი ერთ-ერთ სანიმუშო მოდელად მიიჩნია და გადაწყვიტა მისი ასახვა ტრეფიკინგთან ბრძოლის ეროვნული რეფერალური მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკის ამსახველ

სახელმძღვანელო დოკუმენტში. სახელმძღვანელოს მომზადების პროცესში სპეციალური მოწვევით ასევე მონაწილეობს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლობა.

2016 წლის 3 ივნისს ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფმა (GRETA) მეორე შეფასების რაუნდის ანგარიშით პოზიტიურად შეაფასა საქართველოს მიერ ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის კუთხით განხორციელებული ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 9 ნოემბერს ქ. სტრასბურგში ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) 7 ვაკანტური წევრის არჩევნების გამართვის შედეგად, ერთ-ერთ წევრად საქართველოს კანდიდატი შეირჩა, რომელიც თავის ფუნქციებს 2019 წლის 1-ელი იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში განახორციელებს.საქართველო პოზიტიურად შეფასდა, ასევე, მონობის გლობალური ინდექსის (Global Slavery Index 2018) 2018 წლის ანგარიშით, რომლის თანახმად ტრეფიკინგისა და მონობის თანამედროვე ფორმების წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფოს მიერ გატარებული ეფექტიანი ღონისძიებების შედეგად, საქართველო საერთო რეიტინგში, 167 ქვეყანას შორის მე-15 (2016 წელს მე-17 ადგილს იკავებდა), ხოლო რეგიონში პირველ ადგილს იკავებს.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელიც მოიცავს 2017 წლის 1-ელი იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

1. ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის პოლიტიკის განვითარება

ამოცანა 1.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე კვლევის განხორციელება

საქმიანობა 1.1. შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციის, მათ შორის არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის რისკებისა და საფრთხეების შესწავლა და შეფასება

ინდიკატორი: *ჩატარებული კვლევა; კვლევის შედეგები*

საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების საკითხს და მათ დაცვას ყველა სახის ძალადობისგან, მათ შორის ტრეფიკინგისგან. ამ კატეგორიის ბავშვები მიიჩნევიან ტრეფიკინგის, განსაკუთრებით კი შრომითი ექსპლუატაციის ერთ-ერთ რისკ ჯგუფად.

მიუსაფარ ბავშვებებთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2016 წელს გამოცხადებული საგრანტო პროგრამის „ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა იდენტიფიცირებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა“ ფარგლებში გამარჯვებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ 2017 წლის განმავლობაში განახორციელა კვლევა, რომლის მიზანიც იყო არამარტო ამ ბავშვების ახალი ლოკაციების, არამედ მათი ქუჩაში საქმიანობისა და მათი საჭიროებების იდენტიფიცირება.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა, ასევე, მათი ქუჩაში მოხვედრის მიზეზები, ოჯახური მდგომარეობა, ის პრობლემები, რასაც ეს ბავშვები აწყდებიან ყოველდღიურად ქუჩაში, მათი განწყობები და დამოკიდებულებები.

შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა 105 ახალი ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვი.

კვლევის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2017 წლის 6 ოქტომბერს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოაცხადა კიდევ ერთი საგრანტო კონკურსი თემაზე „საინფორმაციო კამპანია ნარკოტიკების ავადმოხმარებით გამოწვეული ზიანისა და ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვთა მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის მიზნით.“ საგრანტო კონკურსის მესამე მიმართულება (ლოტი) შეეხებოდა ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა ტრეფიკინგისგან დაცვის მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. კერძოდ, პროექტის სამიზნე რეგიონში (თბილისში, რუსთავში, გორში, ახალციხეში, ბორჯომში, ქუთაისში, ბათუმში, ქობულეთში, ზუგდიდში, ოზურგეთში, თელავში) საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის იმ საფრთხეების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია არასრულწლოვნების ქუჩაში ცხოვრებასთან ან/და მუშაობასთან, მათთვის მოწყალების გაცემით ბავშვების ქუჩაში ყოფნის წახალისებასთან, ასევე, მიუსაფარი ბავშვების დაცვის მიზნით არსებულ სახელწიფო მექანიზმებსა და სერვისებზე. საგრანტო პროგრამა, ასევე,

ითვალისწინებდა საინფორმაციო მასალების (ბროშურები, ვიდეო რგოლი) დამზადება/გავრცელებას ადგილობრივ მოსახლეობაში. მომზადდა და გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები 6 ენაზე (ქართული, ინგლისური, რუსული, თურქული, სომხური და აზერბაიჯანული). საგრანტო პროგრამის განხორციელება დაიწყო 2017 წლის 13 დეკემბრიდან და გაგრძელდა 6 თვის განმავლობაში.

დამატებით, გაეროს ბავშვთა ფონდმა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან (შემდგომში - ჯანდაცვის სამინისტრო)[1], ვოლდვიჟენ საქართველოსთან და ფონდ ღია საზოგადოება საქართველოსთან ერთად გადაწყვიტა ახალი კვლევის ჩატარება მიუსაფარი ბავშვების ფენომენისა და მათთან დაკავშირებული ინსტიტუციური სისტემების უკეთ შესწავლისათვის, რათა გაუმჯობესებულიყო შესაბამისი პოლიტიკა, მომსახურებები და ინსტიტუციური გარემო საქართველოსა და აზერბაიჯანში.

კვლევის ზედამხედველობის მიზნით შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო, რომელშიც გაწევრიანდნენ საკითხში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე: გაეროს ბავშვთა ფონდი; ჯანდაცვის სამინისტრო, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში განათლების სამინისტრო), ვოლდვიჟენი, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, საქართველოს კარიტასი, ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და საქართველოს სახალხო დამცველი. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მოხდა თვისობრივი კვლევის აღწერილობის დამტკიცება და ღია ტენდერით ნორვეგიული კვლევითი ორგანიზაციის (Fafo) შერჩევა. საბჭო აქტიურად იყო ჩართული კვლევის მიმდინარეობის პროცესში და მსჯელობდა მეთოდოლოგიის, შუალედური და საბოლოო შედეგების შესახებ.

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების კვლევამ საქართველოში (აზერბაიჯანიდან მიგრაციის გათვალისწინებით) გვიჩვენა, რომ როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში, ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების პოპულაცია ძალიან მრავალფეროვანია. ქუჩაში ცხოვრების წესისა და ბავშვების მახასიათებლების მრავალფეროვნების მიუხედავად, მათ გარკვეული მსგავსი კანონზომიერებები ახასიათებთ. ბავშვების წინაშე მდგარ გამოწვევებზე რეაგირების შეფასება ამ კანონზომიერებების შესაბამისად უნდა მოხდეს.

[1] 2018 წლის ივლისში საქართველოს მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ჩამოყალიბდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდ, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების პოპულაცია შემდეგ ქვე-კატეგორიებად შეიძლება დაიყოს იმის მიხედვით, ახლავთ თუ არა მათ მშობელი და აქვთ თუ არა მშობელთან კონტაქტი:

- უსახლკარო (ქუჩაში მცხოვრები) ბავშვები და მოზარდები;
- ბავშვები, რომლებიც ქუჩაში მშობლების გარეშე არიან, მაგრამ დასაძინებლად სახლში მიდიან;
- ქუჩის მობილური ოჯახების ბავშვები;
- უსახლკარო ოჯახების ბავშვები.

ასევე კვლევის შედეგად გამოიკვეთა **ძირითადი ფაქტორები, რომელთა გამოც ქუჩაში ახალი ბავშვები ხვდებიან**:

- მშობელთა სიღარიბე და უნარების ნაკლებობა და მათ დასახმარებლად ბავშვების ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, რაც ბავშვთა ჩაბმას იწვევს ქუჩის აქტივობებში;
- მშობლების იძულებითი მიგრაცია და აქედან გამომდინარე ცხოვრების გამოწვევები საარსებო საშუალებების მოპოვებასთან დაკავშირებით;
- მშობლის გარდაცვალება, დაპატიმრება, ავადმყოფობა და/ან მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება, რაც მშობლის მიერ ბავშვის მიტოვებას ან უგულვებელყოფასა და ბავშვის მიერ საკუთარ თავზე ზრუნვის საჭიროებას იწვევს;
- ძალადობა ოჯახში – ფიზიკური ან ფსიქოლოგიური – რის გამოც ბავშვი სახლის გარეთ ცხოვრებას ამჯობინებს;
- მკაცრი დისციპლინა – ე.ი. ბავშვის სოციალური ქსელების კატეგორიული შეზღუდვა და ზედმეტად მკაცრი წესები – სარეაბილიტაციო ან მომსახურების დაწესებულებებში, მინდობით აღმზრდელ ოჯახში ან არასრულწლოვანთა დახურულ სკოლებში, რის გამოც ბავშვებს და მოზარდებს წესების დამორჩილებას ქუჩაში ცხოვრება ურჩევნიათ და მზრუნველობის დაწესებულებებიდან არაერთგზის იპარებიან;
- სოციალიზაცია ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის, რის შედეგადაც ბავშვები (თანდათანობით) სულ უფრო ნაკლებ დროს ატარებენ სახლში და სულ უფრო მეტხანს არიან ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე სხვა ბავშვებთან.

კვლევის ზოგადი მიგნებები დაამუშავა სამეთვალყურეო საბჭომ და დეტალური ანალიზის შედეგად ჩამოაყალიბა კონკრეტული რეკომენდაციები.[2]

[2] კვლევა ხელმისაწვდომია ვებ. გვერდზე: https://www.unicef.org/georgia/media/1251/file/%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%20%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf

საქმიანობა 1.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ახალი ტენდენციების, ასევე მსხვერპლთა/დაზარალებულთა და დამნაშავეთა პროფილის შესწავლა და შეფასება არსებული საქმეების საფუძველზე.

ინდიკატორი: *ტრეფიკინგის შესწავლილი საქმეები; ჩატარებული ანალიზის დოკუმენტი და ანალიზის შედეგად გამოვლენილი საკითხები;*

საბჭოს სამდივნომ (იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი) შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფონდის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეისწავლა 2015-2018 წლებში საქართველოში თუ საქართველოს მოქალაქის მიმართ საზღვარგარეთ მომხდარი ტრეფიკინგის საქმეები. ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში მომხდარი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) შემთხვევები ძირითადად გამოხატულია სექსუალურ ექსპლუატაციაში. ტრეფიკინგის მსხვერპლები და დაზარალებულები ძირითადად საქართველოსა და უზბეკეთის მოქალაქეები არიან, ხოლო საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეები უმრავლეს შემთხვევაში - შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლები. მათი ასაკი მერყეობს 16 წლიდან 57 წლამდე. 2018 წელს ასევე გამოვლინდა ბავშვთა მათხოვრობაში ჩართვის გზით ექსპლუატაციის შემთხვევა.

როგორც ირკვევა, ტრეფიკინგის მსხვერპლებსა და დაზარალებულებს ძირითადად ჰპირდებიან მაღალ ანაზღაურებად სამსახურს, თუმცა შემდგომ უზღუდავენ თავისუფლად გადაადგილების უფლებას, ართმევენ პასპორტს (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში) და აიძულებენ, გაუწიონ სექსუალური მომსახურება წინასწარ შერჩეულ კლიენტებს. როგორც ირკვევა ძირითადად, გამოიყენება მუქარა და ფსიქოლოგიური ძალადობა და არა ფიზიკური ძალადობა, რის საფუძველზეც მსხვერპლებსა და დაზარალებულებს აშინებენ და აიძულებენ დამორჩილებას. ბოლო დროს, ასევე, იყენებენ ე.წ. სავალო კაბალას, რაც გულისხმობს მსხვერპლისთვის/დაზარალებულისთვის მუდმივად სხვადასხვა სახის არარეალური ვალების დაკისრებას, ხოლო შემდგომ თითქოსდა აღნიშნული ვალების დაფარვის მიზნით, აიძულებენ მონობასთან გათანაბრებულ პირობებში ყოფნასა და მის სასარგებლოდ სხვადასხვა მომსახურების გაწევას.

რაც შეეხება დამნაშავეებს, ძირითადად „ტრეფიკიორებად“ გვევლინებიან ის ადამიანები, ვისაც მსხვერპლები/დაზარალებული იცნობენ და ენდობიან ან იმ ადამიანების ნაცნობები არიან, ვისაც ენდობიან და მარტივად თანხმდებიან.

საქმიანობა 1.1.3. ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის/დაზარალებულთათვის ტრეფიკიორის მიერ ზიანის ანაზღაურების პრაქტიკის შესწავლა/ანალიზი და წინადადების შემუშავება

ინდიკატორი: *შესწავლილი პრაქტიკის ანგარიში; შესწავლილი პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საკითხები;*

ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის/დაზარალებულთათვის ტრეფიკიორის მიერ ზიანის ანაზღაურების პრაქტიკის შესწავლის მიზნით შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფონდის წარმომადგენლების ჩართულობით.

შედეგად გაანალიზებულ იქნა ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის/დაზარალებულებისთვის ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტები, ასევე, საბჭოს მიერ 2014 წელს დამტკიცებული კომპენსაციის წესი.

ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ კომპენსაციის გაცემის წესში არსებობს რიგი ურთიერთსაწინააღმდეგო გარემოებები, რაც ხელისშემშლელი და შემაყოვნებელი ფაქტორია ტრეფიკინგის მსხვერპლებისთვის და დაზარალებულებისთვის ფონდიდან კომპენსაციის დროულად გაცემისთვის.

ამ გარემოებების აღმოფხვრის მიზნით, მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს კანონში.

საქმიანობა 1.1.4. არასრულწლოვანთა ვაჭრობის პრევენციის მიზნით სუროგაციის საკითხებზე საკანონმდებლო ბაზის შესწავლა/ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში დახვეწა

ინდიკატორი: *შესწავლილი საკანონმდებლო ბაზის ანგარიში; შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი;*

საბჭოს ფარგლებში შესწავლილ იქნება სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა სუროგაციის საკითხის დარეგულირების კუთხით. გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრაში აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით, სადაც ეცნობოდა მონაწილე ქვეყნების მიდგომებს. ანალიზმა აჩვენა, რომ სუროგაციის საკითხისადმი ქვეყნებს აქვთ განსხვავებული მიდგომა და ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისად დარეგულირებული. საქართველოს კანონმდებლობაც მხოლოდ რამდენიმე დებულებას მოიცავს სუროგაციით დაბადებული ბავშვების რეგისტრაციისა და მათი ტრეფიკინგისგან დაცვის მიზნით საქართველოდან გაყვანის წესთან დაკავშირებით.

ამასთან, საერთაშორისო დონეზე ამჟამად მუშავდება საერთაშორისო პრინციპების სახელმძღვანელო სუროგაციის საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციის (The International Social Service) ხელმძღვანელობით.

საქმიანობა 1.1.5. შრომითი ექსპლუატაციის დეფინიციის შემუშავების მიზნით სახელმწიფოთა საკანონმდებლო ბაზის შესწავლა/ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობის დახვეწა

ინდიკატორი: *შესწავლილი საკანონმდებლო ბაზის ანგარიში; შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი;*

ჯანდაცვის სამინისტრომ წერილობით მიმართა შრომითი ურთიერთობის სფეროში სოციალურ პარტნიორებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახალხო დამცველს შრომითი ექსპლუატაციის დეფინიციის განსაზღვრის პროცესში წინადადებების, შენიშვნებისა და რეკომენდაციებისათვის. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტმენტი აგრძელებს მუშაობას შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.

საქმიანობა 1.1.6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე სახელმწიფოთა პრაქტიკის შესწავლა/ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

ინდიკატორი: *შესწავლილი პრაქტიკის ანგარიში; შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი;*

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე სახელმწიფოთა პრაქტიკის ანალიზის მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეისწავლა როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ისე სხვა სახელმწიფოების საკანონმდებლო ბაზა. კერძოდ, შესწავლილ იქნა ბულგარეთის, საფრანგეთის, უნგრეთის, ლიტვის, ლატვიის, მალტას, შვედეთის, კვიპროსისა და ესპანეთის კანონმდებლობა.

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს,რომ სახელმწიფოებს კანონმდებლობაში შემუშავებული აქვთ ზოგადი დებულებები, რომლითაც განსაზღვრულია, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერი იმ დანაშაულებრივი ქმედებისთვის, რომელიც მან ჩაიდინა იძულებით, მსხვერპლად ყოფნის პერიოდში. ასეთი მიდგომა GRETA-ს დადებითად აქვს შეფასებული - სახელმწიფოებს მოუწოდებს აღნიშნული ნორმების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებისკენ ან ცალკე, სპეციალური ნორმის არსებობას, რომელიც მკაფიოდ განმარტავს, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ჩადენილი დანაშაულისთვის.

„ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი სპეციალურ ნორმას შეიცავს, რომელიც ჩამოთვლის როგორც კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებებს, ასევე, ასახავს ზოგად დებულებასაც, რომლის თანახმადაც ტრეფიკინგის მსხვერპლს და დაზარალებულს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის, თუ იგი იძულებული იყო ასე მოქცეულიყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად, დაზარალებულად ყოფნის გამო.ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაშია „ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის თაობაზე“ ევროპის საბჭოს კონვენციასთან და იგი არ საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებებს იმ დანაშაულთა წრის გაფართოებისთვის, რომლის ჩადენის შემთხვევაშიც მსხვერპლი/დაზარალებული გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.

საქმიანობა 1.1.7. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე ერთობლივი საგამოძიებო გუნდების არსებობის მიზანშეწონილობის შესწავლა/ანალიზი

ინდიკატორი: *შესწავლილი პრაქტიკის ანალიზი;*

„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლი ითვალისწინებს უცხო სახელმწიფოს (სახელმწიფოების) კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის შექმნას, თუ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით გამოძიების წარმოება მოითხოვს უცხო სახელმწიფოს (სახელმწიფოების) კომპეტენტურ ორგანოებთან კოორდინირებულ მოქმედებას.

2015-2019 წლებში ტრეფიკინგის გამოვლენილი საქმეების ანალიზმა ცხადჰყო, რომ ტრეფიკიორთა დასჯის მიზნით არ დამდგარა სხვა სახელმწიფოებთან ერთად ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის შექმნის საჭიროება.

2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია

საქართველოს მთავრობა აქტიურად განაგრძობს ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებასა და ამგვარ აქტივობებში მონაწილეობის მიღებას. ამასთან დაკავშირებით **სამოქმედო გეგმის მეორე მიზანი** ითვალისწინებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის კუთხით პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

ამოცანა 2.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის შესახებ ცნობიერების ამაღლება

საქმიანობა 2.1.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო სამოქმედო გეგმის შემუშავება

ინდიკატორი: *შემუშავებული სამოქმედო გეგმის დოკუმენტი*

2016 წლის 19 დეკემბერს საბჭოს სხდომაზე შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილნი იყვნენ როგორც სამთავრობო უწყებისა და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები, ისე ადგილობრივი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები. კერძოდ, სამუშაო ჯგუფში აქტიურად იყვნენ ჩართულნი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს,

საქართველოს მთავარი პროკურატრის[3], საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვრპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, საქართველოს პარლამენტის, ა/ო „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“, ა/ო „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, ა/ო „სამოქალაქო განვითარების სააგენტოს”, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მომზადდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017 წლის ერთიანი საინფორმაციო სამოქმედო გეგმა, რომელმაც განსაზღვრა თოთოეული უწყების მიერ ყოველთვიურად განსახორციელებელი აქტივობები ადგილმდებარეობისა და სამიზნე ჯგუფის მითითებით.

ერთიანი საინფორმაციო სამოქმედო გეგმის შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებდა საბჭოს სამდივნო (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი), რომელიც ყოველ სამ თვეში ერთხელ უწყებებს სთხოვდა ინფორმაციას საინფორმაციო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების თაობაზე.

საქმიანობა 2.1.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სწავლება ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

ინდიკატორი: *სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში შეტანილი თემების რაოდენობა; ტრეფიკინგის საკითხების შემცველი სახელმძღვანელოების რაოდენობა; განახლებული სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია უმცირესობების ენებზე; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, სადაც მიმდინარეობს ტრეფიკინგის სწავლება; უმაღლეს სასწავლებლებში სილაბუსების რაოდენობა;*

1. ზოგადი განათლება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოიყენება 2012 წელს გრიფმინიჭებული სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები. 2018 წლის მდგომარეობით ამ სახელმძღვანელოების რიცხვი და მათში ტრეფიკინგისადმი მიძღვნილი გაკვეთილების რაოდენობა უცვლელია. კერძოდ, მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის სამოქალაქო განათლების საგნობრივი სტანდარტი ითვალისწინებს ტრეფიკინგის შესახებ სწავლებას. ეროვნული სასწავლო

[3] საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, 2018 წლის 16 დეკემბრიდან საქართველოს მთავარ პროკურატურას ეწოდა საქართველოს გენერალური პროკურატურა.

გეგმის საფუძველზე შექმნილ სასკოლო სახელმძღვანელოებში ცალკე გაკვეთილები ეთმობა ტრეფიკინგის თემას.

- სამოქალაქო განათლების IX კლასის სახელმძღვანელოში (**ავტორები:** თამარ მეიფარიანი, ლეილა მიქიაშვილი, ირინე ჯალაღანია, მაია გონაშვილი, მიხეილ თოქმაზიშვილი, დალი შავლოხაშვილი და რუსუდან დალაქიშვილი, **გამომცემლობა:** შპს „საქართველოს მაცნე“, 2012 წ.) მე-6 თემის სახელწოდებაა „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) - მონობის თანამედროვე ფორმა“ (გვ. 19); სახელმძღვანელოში ასახული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე.
- სამოქალაქო განათლების IX კლასის სახელმძღვანელოში (**ავტორები:** ნინო ტალახაძე, თამარ ქალდანი, თამარ ბრეგვაძე და ივანე პეტრიაშვილი. **გამომცემლობა:** სიდი, 2012 წ.) ტრეფიკინგის თემა ასახულია ორ გაკვეთილში: 44. ტრეფიკინგი - მონობის თანამედროვე ფორმა (გვ. 111); 45. უსაფრთხო მიგრაცია (გვ. 115); სახელმძღვანელოში ასახული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე.
- სამოქალაქო განათლების X კლასის (**ავტორები:** ნინო ტალახაძე, თამარ ქალდანი, თამარ ბრეგვაძე და ივანე პეტრიაშვილი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013 წ.) სახელმძღვანელოში ტრეფიკინგის თემას სამი გაკვეთილი ეძღვნება: 18. ახალგაზრდობა - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკის ჯგუფი (გვ.38); 19. ახალგაზრდების ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის რისკფაქტორები (გვ. 41); 20. ვინ და როგორ ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი (გვ. 44).

გარდა ზემოაღნიშნული გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოებისა, მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები IX და X კლასებისათვის სათაურით „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“, რომლებიც ორ-ორი საგაკვეთილო თემისაგან შედგება. სახელმძღვანელოები გამდიდრებულია ვიდეორესურსითაც და თან მოყვება სპეციალური ცნობარი მშობელთათვის.

ამრიგად, სამოქალაქო განათლების სამ სახელმძღვანელოში ტრეფიკინგს ეხება სულ ექვსი თემა. ხოლო ორ დამხმარე სახელმძღვანელოში ტრეფიკინგი განხილულია ოთხ თემაში.

ასევე, მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზია. 2018 წელს დამტკიცებულ საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის მოქალაქეობის სტანდარტში ტრეფიკინგის საკითხი ასახულია.

დამატებით აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ჩართულობისა და თანამშრომლობის პროგრამა სამართლებრივი განათლებისთვის GE CALLS მოიცავს სასკოლო კომპონენტს, რომლის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაცია PH International-ის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული სასწავლო საგნის „სამართლებრივი კულტურის" ფარგლებში 2018 წლის იანვარი-ივნისის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით შერჩეულ 40 საჯარო სკოლაში (თბილისი, სამეგრელო, შიდა ქართლი, კახეთი) ჩატარდა საგაკვეთილო

კურსები სამართლებრივ კულტურაში. აღნიშნული საგანი სხვა საკითხერებთან ერთად ითვალისწინებს ინტერაქტიურ რეჟიმში ტრეფიკინგის და ორგანიზებული დანაშაულის შესახებ საკითხების განხილვას. პროგრამაში ჩართულია 3000-მდე მოსწავლე.

მსგავსი პროგრამა, „პოლიციის საზოგადოებრივი საქმიანობის ინიციატივა აჭარაში“ (ACPI), 2015 წლიდან, ასევე, ხორციელდება აჭარაში PH International-ის მიერ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამა მოიცავს 2 კომპონენტს: სასკოლო და სათემო. 2017-2018 აკადემიური (სასწავლო) წლის განმავლობაში ხულოს, ხელვაჩაურისა და შუახევის საჯარო სკოლების მოსწავლეებს, ადგილობრივ სამართალდამცავების ხელმძღვანელობითა და პედაგოგებთან თანამშრომლობით ჩაუტარდათ საგაკვეთილო კურსი-სამართლებრივი კულტურის საგანში, რომლის ფარგლებშიც განიხილებოდა, ასევე, ტრეფიკინგისა და ორგანიზებული დანაშაულის საკითხები.

2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები

<u>საბაკალავრო პროგრამაზე</u> ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საკითხები ისწავლება როგორც სასწავლო კურსის ერთ-ერთი საკითხი: 1. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, I (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ) და ეთმობა საათების გარკვეული რაოდენობა; 2. დემოკრატია და მოქალაქეობა (თავისუფალი კრედიტები), საეკლესიო სამართალი; 3. სამართლის საფუძვლები; 4. ადამიანთა უფლებები; 5. გლობალიზაცია; 6. საერთაშორისო უსაფრთხოება; 7. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი.

<u>სამაგისტრო პროგრამაზე</u> (3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საკითხები ისწავლება როგორც სასწავლო კურსის ერთ-ერთი საკითხი:

- ტრანსნაციონალური დანაშაული;
- ორგანიზაციული დანაშაული – პრევენციის მიმართულებები, ბრძოლა ტრეფიკინგისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრეფიკინგის შესახებ სილაბუსი აქვს თსუ-სა და GIPA-ს ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას - მიგრაციის მართვა. თსუ-ში კურსის სახელწოდებაა სოციალური მუშაობის პრაქტიკა ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის.

ამასთან, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ცალკე კურსი არ აქვთ, მაგრამ სამართლის საბაკალავრო და ძირითადად სამაგისტრო პროგრამაში შესულია თემატიკის სახით.

დამატებით, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წელს წაკითხულ იქნა კურსები საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე, სადაც კონკრეტული კვირის თემატიკით გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ტრეფიკინგი და მასთან ბრძოლა, არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ტრეფიკინგის

მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისოსამართლებრივი აქტები და მექანიზმები, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სუბსუმციის პრობლემები. ამ მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო საგნებზე სწავლება გაიარა 184 სტუდენტმა.

საქმიანობა 2.1.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო ვიდეორგოლების გაშვება მედიის საშუალებით

ინდიკატორი: ვიდეო რგოლის გავრცელების არეალი, ტერიტორიული დაფარვის ზონა; შესაბამისი სატელევიზიო კლიპების რაოდენობა სატელევიზიო არხებისა და გაშვების დროის მითითებით;

2017 წელს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (*შემდგომში* - ფონდი) საინფორმაციო ვიდეო-რგოლები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე გაშვებულ იქნა შემდეგ ტელეარხებზე:

ა) „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (თებერვალი-მაისი);
ბ) „მაესტრო” (მარტი);
გ) „აჭარის ტელევიზია“ (თებერვალი-მაისი);
დ) „ტელეკომპანია GDS“ (მარტი);
ე) ,,იმედი“ (მარტი).

2018 წელს ფონდის მიერ დამზადებული საინფორმაციო ვიდეო-რგოლი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურებებისა და ცხელი ხაზის (116 006) პოპულარიზაციის მიზნით გაშვებულ იქნა შემდეგ ტელეარხებზე:

ა),„საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (თებერვალი-მარტი),
ბ) „აჭარის ტელევიზია“ (თებერვალი-მარტი, სექტემბერი-ნოემბერი),
ბ),,იმედი“ (თებერვალი-მარტი, სექტემბერი).

გარდა ამისა, ფონდის წარმომადგენელმა ტრეფიკინგის თემაზე მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა მედია გადაცემაში:

- 2017 წლის 11 იანვარს ფონდის დირექტორის მოადგილემ მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივი მაუწყებლის გამოშვებაში „მოამბე,“ საინფორმაციო გადაცემაში, სახელწოდებით ,,პროსტიტუცია და ტრეფიკინგი", სადაც ისაუბრა ტრეფიკინგის საფრთხეებზე და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხებზე;
- 2017 წლის 29 ივლისს ფონდის პრესმდივანმა და ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) უფროსმა

მონაწილეობა მიიღეს აჭარის ტელევიზიის გადაცემაში ,,ჰეშთეგი“, სადაც ისაუბრეს ტრეფიკინგის საფრთხეებზე და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხებზე, დაანონსდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული კამპანია.

- 2017 წლის 30 ივლისს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ფონდის პრესმდივანმა მონაწილეობა მიიღო აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებაში.
- 2018 წლის 12 იანვარს ფონდის იურისტმა მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემაში „იმედის დილა“, სადაც ისაუბრა ტრეფიკინგის საფრთხეებზე და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხებზე;
- 2018 წლის 9 მაისს ფონდის იურისტმა მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებაში „ქრონიკა“;
- 2018 წლის 30 ივლისს, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღეს, ფონდის დირექტორის მოადგილემ მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანიების: „რუსთავი 2-ის“, „იმედის“, „იბერია ტვ-ის“, „ობიექტივის“ „მაესტროს“, რადიო „თავისუფლების“ საინფორმაციო გადაცემებში;
- 2018 წლის 14 ოქტომბერს ფონდის დირექტორმა მონაწილეობა მიიღო „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პირველი არხის გადაცემაში, სადაც ისაუბრა ტრეფიკინგის საფრთხეებზე და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხებზე;

საქმიანობა 2.1.4 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო რადიორგოლის გავრცელება

ინდიკატორი: *რადიო რგოლის გავრცელების არეალი, ტერიტორიული დაფარვის ზონა; შესაბამისი რადიო რგოლების რაოდენობა, რადიო ტალღებისა და გაშვების დროის მითითებით;*

2017 წლის თებერვალ-მაისში, ხოლო 2018 წლის თებერვალ - მარტში საინფორმაციო რადიო რგოლები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე გაშვებულ იქნა ,,საზოგადოებრივი რადიო ერთის“ ეთერში.

საქმიაობა 2.1.5 საინფორმაციო მასალის გავრცელება იუსტიციის სახლებში, საზოგადოებრივ ცენტრებში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში, დიასპორულ ორგანიზაციებში, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში, სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, საზოგადოებრივ ცენტრებსა და სხვა მაღალი რისკის შემცველ ადგილებსა და რეგიონებში.

ინდიკატორი: *ბეჭდვითი საინფორმაციო მასალის რაოდენობა და გავრცელების ტერიტორიული არეალი; გავრცელებული მასალების ნაირსახეობა სამიზნე ჯგუფების მიხედვით; გავრცელებულ მასალებში მითითებულ ელ. ფოსტაზე გამოხმაურებების რაოდენობა;*

2017-2018 წლებში მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ფინანსური მხარდაჭერით დაიბეჭდა და ფონდს გადაეცა 25.000 ცალი ექვსენოვანი (ქართული, რუსული, ინგლისური, აზერბაიჯანული, სომხური, თურქული) ბროშურა, 4.500 ცალი ორენოვანი One-pager (ქართულ-ინგლისური და ქართულ-რუსული), 700 მაისური, 700 ჩანთა, 500 კალენდარი, 1000 ბლოკნოტი, 500 კალამი და 500 "სტიკერი", რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ფონდის მომსახურებებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) შესახებ.

2017-2018 წლებშისაინფორმაციო მასალები გავრცელდა შემდეგ ადგილებში:

- 5000 ცალი ექვსენოვანი ბროშურა გადაეცა საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში შემდგომი გავრცელების მიზნით;
- 600 ცალი ექვსენოვანი ბროშურა გადაეცა აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" პროგრამას (EWMI/PROLoG) შემდგომი გავრცელების მიზნით;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა ყოფილ სამინისტროს დევნილთა მისაღებ ცენტრში, ოპერატორების მაგიდებზე განთავსდა 100 ცალი ექვსენოვანი ბროშურა შემდგომი გავრცელების მიზნით;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის თავშესაფრის საკითხთა სამმართველოს მისაღებ სივრცეში განთავსდა 200 ცალი ექვსენოვანი ბროშურა შემდგომი გავრცელების მიზნით;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, აფხაზეთის ა/რ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის საკითხთა და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტს შემდგომი გავრცელების მიზნით გადაეცა 2 000 ექვსენოვანი ბროშურა.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს ფონდმა გადასცა 2 000 ცალი ექვსენოვანი ბროშურა სასაზღვრო პუნქტებში გავრცელების მიზნით;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტს ფონდმა გადასცა 3 00 ცალი ექვსენოვანი ბროშურა;
- 2017 წლის 30 ივლისს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან, გორში, ქ. გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და დასვენების პარკში, სიღნაღში -გამგეობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერში და ქუთაისში-ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა აქციები, რომლის ფარგლებში მოსახლეობას დაურიგდა საინფორმაციო ხასიათის ბროშურები, მაისურები, ჩანთები და კალენდრები ცხელი ხაზის (116 006) გამოსახულებით.
- საინფორმაციო მასალები აქტიურად ვრცელდებოდა საინფორმაციო შეხვედრების დროსაც.

2017-2018 წელს ფონდმა ჯამში გაავრცელა დაახლეობით 11230 ცალი ექვსენოვანი ბროშურა.

2017 წლის მე-2 და მე-3 კვარტლებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში გააგზავნა ფონდის მიერ მომზადებული 4300 საინფორმაციო ბროშურა ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ.

გარდა ამისა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM), შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლობით, აშშ საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, 2017 წლის თებერვლიდან ხორციელდება სოციალური კამპანია სახელწოდებით „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენცია და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებაზე მოთხოვნის შემცირება.“

კამპანიის მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლება. ამასთანავე, კამპანია მოუწოდებს საზოგადოებას განაცხადოს ტრეფიკინგის სავარაუდო შემთხვევები საქართველოს შესაბამის უწყებებში და ხელი შეუწყოს სახელმწიფოს ამ საზარელი დანაშაულის დამარცხებაში.

საინფორმაციო კამპანია მიმდინარეობდა სარფისა და ვალეს გამშვებ პუნქტებში, სადაც განთავსდა საინფორმაციო ხასიათის ბანერები, ბროშურები და ვიდეო მასალა, რომელიც დამონტაჟებული მონიტორის საშუალებით ტრიალებდა სარფისა და ვალეს გამშვებ პუნქტების შემომსვლელთა ტერმინალზე. სარფის გამშვებ პუნქტისთვის ბანერები, ბროშურები და ვიდეო მასალა მომზადდა 4 ენაზე (ქართული, რუსული, ინგლუსური და თურქული), ხოლო ვალეს გამშვები პუნქტისთვის -5 ენაზე ((ქართული, რუსული, ინგლუსური, თურქული და სპარსული).

შინაგან საქმეთა სამინისტროს და ELHRILI (ევროპული სამართალის და ადამიანის უფლებების საერთაშირისო სამართლის ინსტიტუტთან) თანამშრომლობითა, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში დამზადდა საინფორმაციო ტრიპლეტები ტრეფიკინგის საკითხებზე. აღნიშნული მასალა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ 2018 წლის მანძილზე გავრცელებულ იქნა აჭარის ტერიტორიაზე, ასევე სხვადასხვა სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში და საქართველოს მასშტაბით რისკ ჯგუფს მიკუთვნებულ ტერიტორიებზე და დაწესებულებებში. საინფორმაციო მასალა დამზადდა 4 ენაზე : ქართული 10000 ცალი, რუსული –2500 ცალი, ინგლისური – 2500 ცალი, თურქული 2500 ცალი. ბროშურების გავრცელება მიზნად ისახავდა ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის და მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებას.

2018 წელს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში გავრცელებულ იქნა საინფორმაციო ფლაერები ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა

დაცვისა და დახმარების შესახებ. აღნიშნული ფლაერი მოიცავდა ინფორმაციას 6 ენაზე (ქართული, ინგლისური, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული და თურქული).

2018 წლის განმავლობაში შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურისა და ოზურგეთის რაიონული სამმართველოების თანამშრომელთა მიერ, სამოქმედო ტერიტორიაზე მოქალაქეებს დაურიგდათ საინფორმაციო ხასიათის ბროშურები, ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებების და სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებული სერვისების შესახებ.

2017-2018 წლებში საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 21 საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით, ასევე, ვრცელდებოდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო ბროშურები ოთხ ენაზე (ქართული, ინგლისური, რუსული და თურქული).

საქმიანობა 2.1.6 ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე დისკუსიების, საინფორმაციო შეხვედრებისა და კონფერენციების გამართვა ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე

***ინდიკატორი**: გამართული დისკუსიების, საინფორმაციო შეხვედრებისა და კონფერენციების რაოდენობა; ტერიტორიული დაფარვა;*

2017-2018 წლებში ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე გაიმართა შემდეგი პრევენციული/საინფორმაციო ღონისძიებები:

<u>ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე:</u>

- 2017 წლის 6 მარტს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს ოფისისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლებმა საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარეს ტრეფიკინგის თემაზე სსიპ – ქალაქ ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფელ გომის საჯარო სკოლის მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან. შეხვედრაზე განხორციელდა ფილმის ჩვენება-დისკუსია „გზა თავისუფლებისკენ“, რომელიც ეხება ტრეფიკინგის თანამედროვე ფორმებს. შეხვედრაზე ასევე განხილული იქნა საქართველოს კანონმდებლობა ტრეფიკინგის შესახებ, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის საკითხები და პრევენციის მნიშვნელობა ტრეფიკინგთან მიმართებაში (მონაწილეთა რაოდენობა - 35);
- 2017 წლის 3 მაისს, ანალოგიური საინფორმაციო შეხვედრა და ფილმის ჩვენება-დისკუსია გაიმართა თბილისის N155 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. (მონაწილეთა რაოდენობა - 20);
- 2017 წლის 11 მაისს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს ოფისის წარმომადგენლებმა აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის #42 საჯარო

სკოლაში მოსწავლეებთან გამართეს საინფორმაციო შეხვედრა და ფილმის ჩვენება-დისკუსია (მონაწილეთა რაოდენობა - 40);

- 2017 წლის 16 მაისს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს ოფისის და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლებმა ანალოგიური საინფორმაციო შეხვედრა და ფილმის ჩვენება-დისკუსია გამართეს სსიპ ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის #199 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან (მონაწილეთა რაოდენობა - 25);
- 2017 წლის 18 ოქტომბერს, ფონდის წარმომადგენელმა საინფორმაციო შეხვედრა/დისკუსია გამართა ტრეფიკინგის თემაზე ხაშურის მუნიციპალიტეტის, დაბა სურამის N2, N1 და სსიპ ლესია უკრაინკას სახელობის დაბა სურამის N3 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან (მონაწილეთა რაოდენობა - 45);
- 2017 წლის 2 ნოემბერს, ფონდის წარმომადგენელმა საინფორმაციო შეხვედრა/დისკუსია გამართა მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ მსხალდიდის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან (ეთნიკური უმცირესობა, აზერბაიჯანელები)(მონაწილეთა რაოდენობა - 20);
- 2017 წლის 3 ნოემბერს, ფონდის წარმომადგენელმა საინფორმაციო შეხვედრა/დისკუსია გამართა მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ძველი ქანდის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან, (ეთნიკური უმცირესობა-ასირიელები, აისორები) (მონაწილეთა რაოდენობა - 20);
- 2017 წლის 24 ნოემბერს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს ოფისისა და ფონდის წარმომადგენებმა საინფორმაციო შეხვედრა და ფილმის ჩვენება-დისკუსია გამართეს სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ მუხრანის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან (მონაწილეთა რაოდენობა-25);2017 წლის მაისი - ივნისის და ოქტომბერ-ნოემბრის თვეში შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით, განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტის „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისის 10 საჯარო სკოლაში და რეგიონის 11 საჯარო სკოლაში საინფორმაციო შეხვედრები ჩაატარეს ორგანიზებული დანაშაულის ფორმებზე, მათ შორის ტრეფიკინგისა და კიბერდანაშაულის თემებზე. მოსწავლეებთან შეხვედრისას ხაზი გაესვა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენციას, მისი საფრთხეებისაგან თავის დაცვის მექანიზმებს, ტრეფიკინგის ფორმებს, სახელმწიფოს მიერ დანაშაულის აღკვეთის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს, ასევე ინტერნეტის არამართლზომიერად გამოყენების საფრთხეებს და აღნიშნული საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით გასათვალისწინებელ გარემოებებს. გეოგრაფიული არეალი: მისაქციელი, წეროვანი, ლისი, ვახტანგისი, ლემშვენიერა, ახალსოფელი, ბოლნისი, დმანისი.

- 2018 წლის 06 მარტს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა, ფონდთან, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან და სსიპ იურიდიული დახმარების ბიუროს წარმომადგენელთან ერთად, შიდა ქართლის რეგიონში, გამყოფი ხაზისპირა სოფელ ქვემო ჭალაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგისა და მსხვერპლთათვის სახელმწიფო სერვისების შესახებ შეხვედრა გამართა. შეხვედრას სკოლის პედაგოგები, უფროსკლასელი მოსწავლეები და მათი მშობლები ესწრებოდნენ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის, საკანონმდებლო სიახლეებისა და სახელმწიფო სერვისების, დაცვის მექანიზმის შესახებ.
- 2018 წლის 20 მარტს ფონდმა ახმეტის მუნიციპალიტეტის (პანკისის ხეობა), სოფელ ჯოყოლოს საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებების საკითხებზე. (დამსწრეთა რაოდენობა-38);
- 2018 წლის 20 მარტს ფონდმა ახმეტის მუნიციპალიტეტის (პანკისის ხეობა), სოფელ დუისის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებების საკითხებზე. (დამსწრეთა რაოდენობა-45);
- 2018 წლის 30 მარტს, ქ. თბილისის 62-ე საჯარო სკოლაში ფონდმა გამართა შეხვედრა/დისკუსია X კლასის მოსწავლეებთან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებების საკითხებზე (დამსწრეთა რაოდენობა - 25).
- 2018 წლის 24 აპრილს, ფონდმა საინფორმაციო შეხვედრა გამართა თბილისში, იტალიური სკოლა „ცისკარის“ მოსწავლეებთან ტრეფიკინგისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებების საკითხებზე (დამსწრეთა რაოდენობა - 40).
- 2018 წლის 8 ივნისს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ორგანიზებითა და ფონდის ჩართულობით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვითის (საზღვრისპირა სოფელი) საჯარო სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა. მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია ტრეფიკინგისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებების საკითხებზე (დამსწრეთა რაოდენობა - 25).
- 2018 წლის 8 ივნისს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ორგანიზებითა და ფონდის ჩართულობით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცის (საზღვრისპირა სოფელი) საჯარო სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა. მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია ტრეფიკინგისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებების საკითხებზე (დამსწრეთა რაოდენობა - 20).
- 2018 წლის სექტემბრის თვეში აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთან ერთად, ტრეფიკინგის თემაზე საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარეს ხელვაჩაურის რაიონის საჯარო სკოლაში, ასევე,

ესაუბრნენ მოსწავლეებს აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკისა და მიდგომების შესახებ და ტრეფიკინგისგან დაცვის მექანიზმებიც გააცნეს.

- 2018 წლის 3 ოქტომბერს ფონდმა საინფორმაციო შეხვედრა გამართა მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ წილკნის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ტრეფიკინგისა და ტრეფიკინგის მსხვერპლებისათვის არსებული სახელმწიფო მომსახურებების საკითხებზე (დამსწრეთა რაოდენობა - 50).
- 2018 წლის 3 ოქტომბერს ფონდმა საინფორმაციო შეხვედრა გამართა მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ საგურამოს საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ტრეფიკინგისა და ტრეფიკინგის მსხვერპლებისათვის არსებული სახელმწიფო მომსახურებების საკითხებზე (დამსწრეთა რაოდენობა - 40).
- 2018 წლის 9 ნოემბერს შსს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო დუშეთის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზისპირა სოფელ ოძისის საჯარო სკოლაში საკონსულტაციო შეხვედრაში. შეხვედრა გაიმართა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, ტრეფიკინგის სახელმწიფო ფონდთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრთან“ თანამშრომლობით. აღნიშნულ ღონისძიებაზე, რომელსაც სკოლის პედაგოგები და ადგილობრივი მოსახლეობა დაესწრო, დამსწრე საზოგადოებას გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგისა და მსხვერპლთათვის სახელმწიფო სერვისების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. დეტალურად ისაუბრეს ყველა იმ შესაძლებლობაზე, რომელთაც სახელმწიფო ძალადობით დაზარალებულ ადამიანებს სთავაზობს. ანალოგიური შეხვედრა გაიმართა ხაშურშიც.
- 2018 წლის განმავლობაში სკოლის, საზოგადოების და პოლიციის თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული იქნა სამართლებრივი კულტურის გაკვეთილები აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლის მიერ ბათუმის N16 საჯარო სკოლაში, მოსწავლეები, სხვა სამართლებრივ საკითხებთან ერთად გაეცნენ ინფორმაციას, ორგანიზებული დანაშაულის ფორმებზე, როგორიცაა: ტრეფიკინგი, კიბერდანაშაული და მისი პრევენცია. მოსწავლეებთან შეხვედრისას ხაზი გაესვა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენციას, მისი საფრთხეებისაგან თავის დაცვის მექანიზმებს, ტრეფიკინგის ფორმებს, სახელმწიფოს მიერ დანაშაულის აღკვეთის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს, ასევე ინტერნეტის არამართლზომიერად გამოყენების საფრთხეებს და აღნიშნული საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით გასათვალისწინებელ გარემოებებს. ასევე მიეწოდათ შესაბამისი ბუკლეტები.
- შსს ინიციატივით, 2018 წლის განმავლობაში, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონში (5 ქალაქში) მცხოვრები მოსახლეობისთვის, მათ შორის 5 სკოლის 301 მოსწავლესთან და ამავე სკოლების 123 მასწავლებელთან, რომლებიც სკოლებში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ. შეხვედრის ფარგლებში, მონაწილეებს ჩაუტარდათ პრეზენტაცია შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული

და მიმდინარე რეფორმების შესახებ, მათ შორის საკანონმდებლო კუთხით განხორციელებულ ცვლილებებზე. ასევე, მოსწავლეებისთვის ჩატარდა ლექციები ბავშვთა უფლებების და გადაუდებელი დახმარების სწორად გამოყენების შესახებ. განხილული თემები მოიცავდა შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციის საკითხებს.

- გარდა ამისა, 2017-2018 წლებში საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში ჩაატარა 110 ლექცია - სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სკოლის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა, საჯარო მოხელეებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ. აღნიშნული ლექცია-სემინარების ფარგლებში პროკურატურის წარმომადგენლებმა მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდეს სხვადასხვა დანაშაულებთან დაკავშირებით, მათ შორის ტრეფიკინგის საკითხზეც (4000-ზე მეტი მონაწილე).

<u>უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე:</u>

- 2017 წლის 15 მარტს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს ოფისისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლებმა საინფორმაციო შეხვედრა და ფილმის ჩვენება-დისკუსია გამართეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოს კანონმდებლობა ტრეფიკინგის შესახებ, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის საკითხები და პრევენციის მნიშვნელობა ტრეფიკინგთან მიმართებაში (მონაწილეთა რაოდენობა - 35);
- 2017 წლის მაისში და 2018 წლის ოქტომბერში, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ადამიანით ვაჭრობის საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ჩატარდა სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრა;
- 2017 წლის 2 მაისს, ანალოგიური შეხვედრა და ფილმის ჩვენება-დისკუსია გაიმართა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტუდენტებთან. (მონაწილეთა რაოდენობა - 25);
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა (სტუ) და ფრაიბურგის მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებით, სტუ-ში 2017 წლის 25 მაისს გაიმართა ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „თანამედროვე ტექნოლოგიები, სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის აქტუალური პრობლემები, ზღვარი თავისუფლებასა და უსაფრთხოებას შორის“, რომლის ფარგლებშიც მიმოხილული იყო ტრეფიკინგთან დაკავშირებული საკითხები;
- 2017 წლის 10 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტებთან, გაიმართა დისკუსია ტრეფიკინგის თემაზე (მონაწილეთა რაოდენობა-20);
- 2017 წლის 13 ნოემბერს, ფონდის წარმომადგენელმა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, გამართა დისკუსია ტრეფიკინგის თემაზე (მონაწილეთა რაოდენობა-20);

- 2017 წლის 15 ნოემბერს, ფონდის წარმომადგენელმა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებთან გამართა დისკუსია ტრეფიკინგის თემაზე (მონაწილეთა რაოდენობა-20);
- 2017 წლის 16 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით სტუდენტებისთვის გაიმართა კონფერენცია თემაზე „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა.“ კონფერენცია გაიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა სამინისტროსა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით (მონაწილეთა რაოდენობა 25);
- 2017 წლის ოქტომბერი-ნოემბრის თვეში შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს და კიბერ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა კიბერდანაშაულის და ტრეფიკინგის თემაზე საინფორმაციო შეხვედრები ჩაატარეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის და ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრაზე სამართალდამცველები ახალგაზრდებს კიბერდანაშაულის და ტრეფიკინგის სახეების, ამ მიმართულებით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, ასევე, აღნიშნული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკისა და მიდგომების შესახებ ესაუბრნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა სტუდენტებს კიბერდანაშაულისა და ტრეფიკინგისგან დაცვის მექანიზმებიც გააცნეს.
- 2017 წლის 2 დეკემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ქუთაისის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში დაესწრნენ ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, პრევენციისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის შესახებ საჯარო ლექციებს და აქტიურად ჩაერთვნენ თემის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში;
- 2018 წლის 7 მარტს, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თელავის რაიონული პროკურატურის წარმომადგენლებმა, უნივერსიტეტის სტუდენტებთან და საჯარო სკოლების მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს ტრეფიკინგისა და ადამიანებით ვაჭრობის პრევენციის საკითხებზე. ღონისძიება თელავის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით, პროექტის - ,,საზოგადოებრივი პროკურატურა'' - ფარგლებში, გაიმართა;
- 2018 წლის 2 აპრილს, სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯში „გლდანის პროფესიულ მომზადების ცენტრში“ ფონდის წარმომადგენლებმა ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და მსხვერპლთა მომსახურებების საკითხებზე. საინფორმაციო შეხვედრას დაესწრნენ კოლეჯის სხვადასხვა პროგრამის სტუდენტები. (დამსწრეთა რაოდენობა-30);
- 2018 წლის 11 აპრილს ფონდმა საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების

დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად მორიგი შეხვედრა გამართა გორში, ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის (ყოფილი სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის) სტუდენტებთან და პედაგოგებთან. ფონდის წარმომადგენელმა შეხვედრის მონაწილეებს ესაუბრა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკაზე და ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის არსებულ ფონდის მომსახურებებზე (დამსწრეთა რაოდენობა - 25);

- 2018 წლის 25 აპრილს გაიმართა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ადამიანის უფლებების დაცვისა და ტრეფიკინგის საკითხებზე. შეხვედრას უძღვებოდნენ: ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტისა და საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლები;
- 2018 წლის 18 მაისს იუსტიციის სამინისტროსა და IOM-ს მონაწილეობით საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა ტრეფიკინგის თემაზე სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებთან (40 მონაწილე);
- 2018 წლის 10 ოქტომბერს, შსს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელი ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა. შეხვედრაზე განხილული იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულისგან მომდინარე საფრთხეები და მათგან თავდაცვის მექანიზმები. ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელმა სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია ტრეფიკინგთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის, ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ბაზის, საკანონმდებლო ცვლილებების, საერთაშორისო კანონმდებლობის, ეროვნული რეფერალური მექანიზმისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის განკუთვნილი სახელმწიფო სერვისების შესახებ. განხილული იქნა პრაქტიკული მაგალითები, რის შემდგომაც შეხვედრა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. შეხვედრის მონაწილეებს დაურიგდათ საინფორმაციო სახის ბროშურები. აღნიშნული ღონისძიება მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) აქტიური საინფორმაციო კამპანიის „ინფორმირებული და კანონიერი მიგრაცია“ მხარდაჭერის მიზნით გაიმართა, თავად კამპანია კი ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება;
- 2018 წლის 22 ოქტომბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ორგანიზებით ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ENIGMMA 2-ის ფარგლებში სტუდენტებისთვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და თანამედროვე ტენდენციები“ (დამსწრეთა რაოდენობა-30);
- 2018 წლის 21 ნოემბერს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს ოფისის (IOM Georgia) წარმომადგენლებთან ერთად ფონდის ჩართულობით გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შედგა საინფორმაციო შეხვედრა მიგრაციისა და ტრეფიკინგის საკითხებზე. მონაწილეებს ფონდის წარმომადგენელმა მიაწოდა ინფორმაცია ტრეფიკინგის, ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის არსებული

სახელმწიფო მომსახურებების და ტრეფიკინგის პრევენციის შესახებ. (მონაწილეთა რაოდენობა - 15);

- 2018 წლის 27 ნოემბერს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს ოფისის (IOM Georgia) და ტრეფიკინგის სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლებმა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) სტუდენტებთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე განხილულ იქნა უვიზო მიმოსვლის, უკანონო მიგრაციის, ადამიანით ვაჭრობა/ტრეფიკინგის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებების საკითხები. (დამსწრეთა ოდენობა - 20);
- GIPA ახორციელებს პროექტს - ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალის მკვლელობის თემაზე მომზადდა და საიტზე განთავსდა შესაბამისი მასალები (https://bit.ly/2DH8ZBt). შესაბამისად, GIPA-ს სტუდენტების მიერ მოხდა აღნიშნული საკითხის განხილვა და შესწავლა;
- პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად - თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი და ჟურნალ ბათუმელებთან ერთად, GIPA-ს სტუდენტებმა მოინახულეს აჭარაში ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი.

საქმიანობა 2.1.7 ყოველწლიურად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადამიანით ვაჭრობის თემაზე იმიტირებული სასამართლო პროცესის ჩატარება

ინდიკატორი: *ჩატარებულია იმიტირებული პროცესის (ორი ტურნირი), მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა (მინიმუმ 24, მაქსიმუმ - 40);*

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ორგანიზებით, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, 2017 წლის 4-5 თებერვალს, კაჭრეთში, სასტუმრო ამბასადორში, გაიმართა ,,გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე".

იმიტირებული პროცესის ზეპირი რაუნდები, რომელშიც მონაწილეობდა 4 სხვადასხვა უნივერსიტეტის 8 გუნდი (სულ 34 მონაწილე) თბილისიდან და ქუთაისიდან, გაიმართა 2017 წლის 4-5 თებერვალს კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში."

პროექტის გამარჯვებულები თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ. მათ იურიდიული ლიტერატურა და პლანშეტური კომპიუტერები გადაეცათ. გამარჯვებულებმა 2017 წლის მარტიდან დეკემბრის ჩათვლით, ასევე, გაიარეს კვლევითი პრაქტიკა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტში.

პროექტის მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.ანალოგიური იმიტირებული პროცესი სტუდენტებისთვის ზემოთ აღნიშნული უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, ასევე, გამოცხადდა 2017 წლის 16 ნოემბერს. იმიტირებული პროცესის ზეპირი რაუნდები გაიმართა 2018 წლის 17-19 თებერვალს, ქ. თბილისში, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში. პროექტში მონაწილეობა მიიღო 5 უნივერსიტეტის 8 გუნდმა (სულ 37 მონაწილე). შედეგად გაიმარჯვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა, რომელთაც გადაეცათ შესაბამისი პრიზები. პროექტის ფარგლებში მონაწილეებს, ასევე, ჩაუტარდათ ტრენინგები ტრეფიკინგის თემაზე.

მომდევნო იმიტირებული პროცესი სტუდენტებისთვის გამოცხადდა 2018 წლის ნოემბერში. პროექტის ზეპირი რაუნდები განხორციელდა 2019 წლის 15-17 თებერვალს, თბილისში, იუსტიციის სასწავლო ცენტრში. ზეპირი რაუნდების განხორციელებამდე მონაწილეებს, ასევე, ჩაუტარდათ ტრენინგები ტრეფიკინგის თემაზე (მონაწილეთა რაოდენობა - 36).

საქმიანობა 2.1.8 ტრეფიკინგის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებთან, მათ შორის, იძულებით გადაადგილებულ პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ეთნიკურ/ეროვნულ უმცირესობებთან.

ინდიკატორი: *ჩატარებული შეხვედრებისა და მონაწილეთა რაოდენობა, განთავსებული ინფორმაცია ვებ-გვერდზე*

2017-2018 წლის განმავლობაში აქტივობით გათვალისწინებულ სამიზნე ჯგუფთან ტრეფიკინგის რისკების თაობაზე გაიმართა შემდეგი საინფორმაციო შეხვედრები:

- 2017 წლის 15 თებერვალს, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (DVV International) საქართველოს ოფისისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ორგანიზებით ქვემო ქართლის რეგიონში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, კოდის სათემო განათლების ცენტრში გაიმართა *საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა სოფელ კოდაში მცხოვრები* დევნილის სტატუსის მქონე მოსახლეობასთან. შეხვედრის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ფონდის წარმომადგენლებმა მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია ტრეფიკინგის კანონმდებლობის, მასთან დაკავშირებული რისკების, ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებებისა და დაცვის გარანტიებზე, ფონდის მომსახურებებზე და ტრეფიკინგისგან თავის დაცვის საშუალებებსა და ხერხებზე. შეხვედრის მონაწილეებს დაურიგდათ ფონდის მიერ დამზადებული ექვსენოვანი ბროშურები (მონაწილეთა რაოდენობა - 20);

- 2017 წლის 15 თებერვალს, კოდის სათემო განათლების ცენტრში საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა, ასევე, გაიმართა ადგილობრივ მოსახლეობასთან, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (მონაწილეთა რაოდენობა - 15);
- 2017 წლის 20 თებერვალს, კახეთის რეგიონში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრში ფონდის წარმომადგენელმა შეხვედრა გამართა ადგილობრივ მოსახლეობასთან და თვითმმართველობის ერთეულების წარმომადგენლებთან (დამსწრეთა რაოდენობა - 25);
- 2017 წლის 2 ნოემბერს, მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ მსხალდიდის საჯარო სკოლაში მოსწავლეებთან და პედაგოგებთან (ეთნიკური უმცირესობა, აზერბაიჯანელები) სეხვედრის დროს ფონდის წარმომადგენელი მონაწილეებს ესაუბრა ტრეფიკინგის რისკების შესახებ, ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებებზე და დაცვის გარანტიებზე, ფონდის მომსახურებებზე და ტრეფიკინგისგან თავის დაცვის საშუალებებზე და ხერხებზე (მონაწილეთა რაოდენობა - 20);
- 2017 წლის 3 ნოემბერს, მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ძველი ქანდის საჯარო სკოლაში მოსწავლეებთან და პედაგოგებთან (ეთნიკური უმცირესობა-ასირიელები, აისორები) შეხვედრისას ფონდის წარმომადგენელი მონაწილეებს ესაუბრა ტრეფიკინგის რისკების შესახებ, ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებებზე და დაცვის გარანტიებზე, ფონდის მომსახურებებზე და ტრეფიკინგისგან თავის დაცვის საშუალებებზე და ხერხებზე (მონაწილეთა რაოდენობა-20).
- 2018 წლის 20 მარტს ფონდმა ახმეტის მუნიციპალიტეტის (პანკისის ხეობა), სოფელ ჯოყოლოს საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებების საკითხებზე. (დამსწრეთა რაოდენობა-38);
- 2018 წლის 20 მარტს ფონდმა ახმეტის მუნიციპალიტეტის (პანკისის ხეობა), სოფელ დუისის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებების საკითხებზე. (დამსწრეთა რაოდენობა-45);
- 2018 წლის 8 ივნისს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ორგანიზებითა და ფონდის ჩართულობით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვითის (საზღვრისპირა სოფელი - გამყოფი ზოლი) საჯარო სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა. მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია ტრეფიკინგისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებების საკითხებზე (დამსწრეთა რაოდენობა - 25).
- 2018 წლის 8 ივნისს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ორგანიზებითა და ფონდის ჩართულობით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცის (საზღვრისპირა სოფელი - გამყოფი ზოლი) საჯარო სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა. მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია ტრეფიკინგისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებების საკითხებზე (დამსწრეთა რაოდენობა - 20).

- 2018 წლის 30 ნოემბერს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით და ფონდის ცართულობით კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალაში, გამყოფი ზოლის მიმდებარედ, გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან ტრეფიკინგისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებების საკითხებზე. (დამსწრეთა ოდენობა - 20).
- 2018 წლის 17 სექტემბერს, 20 ნოემბერსა და 28 დეკემბერს მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში ჩატარდა 3 შეხვედრა, რომელთა განმავლობაში თავშესაფრის მაძიებლებს საქართველოში მათთვის არსებულ სამართლებრივ გარანტიებთან ერთად, მიეწოდათ ინფორმაცია ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის არსებული მექანიზმებისა და ტრეფიკინგის რისკების შესახებ (მონაწილეთა რაოდენობა - 35 პირი).

დამატებით აღსანიშნავია, რომ 2018 წელს საქართველოს მასშტაბით მოქმედ სხვადასხვა საზოგადოებრივ ცენტრში ჩატარდა შენგენსა და ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო ტიპის შეხვედრები, რომლებიც ასევე მოიცავდა ტრეფიკინგის რისკებისა და მასთან ბრძოლის საკითხებს. აღნიშნული შეხვედრები ჩატარდა 18 საზოგადოებრივ ცენტრში: იორმუღანლოს (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი), გომის (ხაშურის მუნიციპალიტეტი), ბაკურიანის (ბორჯომის მუნიციპალიტეტი), ფასანაურის (დუშეთის მუნიციპალიტეტი), ბერძენაულის (ქარელის მუნიციპალიტეტი), ტყვიავის (გორის მუნიციპალიტეტი), კაბალის (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი), შორაპანის (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი), დიდი ჯიხაიშის (სამტრედიის მუნიციპალიტეტი), ხევის (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი), ნიგოითის (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი), გეგუთის (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), ხიდისთავის (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), ქვემო ნატანების (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), მუხაესტატეს (ქობულეთის მუნიციპალიტეტი), ჩაქვის (ქობულეთის მუნიციპალიტეტის), შაშიანისა (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) და კაჭრეთის (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) საზოგადოებრივ ცენტრებში.

ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა სოფლის მოსახლეობა, მათ შორის: ეროვნული უმცირესობები და საოკუპაციო ზოლის მახლობლად მცხოვრები პირები.

საქმიანობა 2.1.9 იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება კერძო სექტორში მომუშავე დამსაქმებელთა და დასაქმებულთათვის.

ინდიკატორი: *ჩატარებული შეხვედრებისა და მონაწილეთა რაოდენობა, განთავსებული ინფორმაცია ვებ-გვერდზე*

2017-2018 წლებში ჯანდაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა ჩაატარა შემდეგი საინფორმაციო შეხვედრები კერძო სექტორში მომუშავე დამსაქმებელთა და დასაქმებულთათვის:

- 2017 წლის 18-19 მარტს, კაჭრეთი, სასტუმრო ამბასადორში, საქართველოს ფეროშენადნობთა ასოციაციის 20 წარმომადგენელთან გაიმართა 2 დღიანი ტრეინინგი შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე. ერთ-ერთ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეყანაში არსებული მექანიზმები, ტრეფიკინგთან დაკავშირებული რისკები და გამოწვევები;
- 2017 წლის 1-ელი აპრილს ქ. თბილისში, საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის 15 თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგი შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე;
- 2017 წლის 7 აპრილს ხაშურის რაიონის სოფელ გომში, LTD "Black Sea Group"-ის 20 წარმომადგენელს ჩაუტარდა ტრენინგი შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე;
- 2017 წლის ივნისში შრომითი ექსპლუატაციისა და იძულებითი შრომის თაობაზე საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. ქუთაისში, შპს „მაკნატუნასა" და შპს „ონიმას" პერსონალისთვის (მონაწილეთა რაოდენობა - 80);
- 2018 წლის 23 თებერვალს, ქ. ქუთაისში შპს „იბერი სტარ გრუპის" 40 თანამშრომელს ჩაუტარდა ტრეინინგი შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე;
- 2018 წლის 15 მარტს, ქ. თბილისში სს „საქართველოს სათბურების კორპორაციის" 15 წარმომადგენელს ჩაუტარდა ტრინინგი შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე;
- 2018 წლის 11 მაისს, ქ. თბილისში შპს „ელემენტ ქონსთრაქშენის" 15 წარმომადგენელს ჩაუტარდა ტრეინინგი შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე;
- 2018 წლის 18-19 ივნისს, ქ. ტყიბულში კომპანია „GIG" 30 წარმომადგენელს ჩაუტარდა ტრეინინგი შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე;
- 2018 წლის 25 აგვისტოს საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ.გორში, სადაც შიდა ქართლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე. შეხვედრას ესწრებოდა 70 ადამიანი;
- 2018 წლის 11 სექტემბერს საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ.ბათუმში, სადაც აჭარის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე. შეხვედრას ესწრებოდა 70 ადამიანი;
- 2018 წლის 14 სექტემბერს საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ.ქუთაისში, სადაც იმერეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე. შეხვედრას ესწრებოდა 90 ადამიანი;
- 2018 წლის 13 ნოემბერს, შრომის ინსპექტირების დეპარტამენტთან ერთად ფონდის ჩართულობით გაიმართა შეხვედრა/დისკუსია დამსაქმებლებთან სახელწოდებით: ,,შრომითი სტანდარტები და შრომის უსაფრთხოება საქართველოში". ფონდის

წარმომადგენელი შეხვედრის მონაწილეებს ესაუბრა ტრეფიკინგის კუთხით ფონდის მომსახურებებზე. (დამსწრეთა რაოდენობა-30);

- 2018 წლის 15 ნოემბერს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტისა და სსიპ "ადამინით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" წარმომადგენლების მიერ ერთობლივი შეხვედრა ჩატარდა ქ. თბილისში, სადაც ევროპული ბიზნეს ასოციაციის წევრ ორგანიზაციებს მიეწოდათ ინფორმაცია შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე. შეხვედრას ესწრებოდა 40 კომპანიის წარმომადგენელი.

2017 წლის მოერე ნახევარში დეპარტამენტმა დაამზადა საინფორმაციო ხასიათის 500 ბროშურა დამსაქმებლებისა და დასაქმებულთათვის, სადაც მითითებულია ინფორმაცია ტრეფიკინგის შესაძლო ნიშნების გამოვლენის მიზნით დეპარტამენტის საქმიანობის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მომართვის საშუალებების შესახებ.

საქმიანობა 2.1.10. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ინფორმაციის მუდმივად განახლება ვებგვერდებზე და ერთიანი ვებგვერდის შექმნა.

ინდიკატორი: *ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაცია*

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ. გვერდზე ხელმისაწვდომია დეტალური ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის, ეროვნული რეფერალური მექანიზმის, სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების, სტატისტიკური მონაცემებისა და საგრანტო კონკურსების შესახებ. ამასთან, ვებგვერდი მუდმივად განახლების პროცესშია. http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/309

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეებისა და თავის დაცვის საშუალებების შესახებ და ხდება არსებული ინფორმაციის მუდმივი განახლება http://police.ge/ge/projects/adamianit-vachroba

საქართველოს მთავარი პროკურატურის ვებ. გვერდზე პერიოდულად ქვეყნდებოდა პრეს-რელიზები ტრეფიკინგის დანაშაულში მხილებული პირების ბრალდებისა და სასამართლო განხილვების შესახებ. პროაქტიულად ხდებოდა საზოგადოების ინფორმირება საქართველოს პროკურატურის მიერ ტრეფიკინგთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ. 2018 წელს გამოქვეყნდა ტრეფიკინგის სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი. http://www.pog.gov.ge/

საქართველოს განათლების სამინისტროს ვებგვერდზე პერიოდულად ქვეყნდებოდა ინფორმაცია ზოგადი და უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტების მიერ ტრეფიკინგის პრევენციის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის თაობაზე. http://mes.gov.ge/

სახელმწიფო ფონდის ფარგლებში ფუნქციონირებს ვებ-გვერდი (http://www.atipfund.gov.ge/), სადაც განთავსებულია ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ კანონმდებლობის, ფონდის სერვისებისა და ფონდის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. ფონდს აქვს საკუთარი გვერდი სოციალურ ქსელში (facebook) სახელწოდებით *Atipfund Georgia*, სადაც აქტიურად განიხილება ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული ინფორმაციები.

ტრეფიკინგის ფაქტების პრევენციის და შესაბამისი ღონისძიების გატარების მიზნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. მითითებული ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია სამინისტროს ვებგვერდზე. ამასთან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე, რიგ ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ვებგვერდებზე განთავსებულია ინფორმაცია ტრეფიკინგის საკითხებზე. ვებგვერდზე გამოტანილი ინფორმაცია, ასევე, შეიცავს ადგილსამყოფელ ქვეყანაში ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების საკონტაქტო მონაცემებს. http://mfa.gov.ge/MainNav/ConsularInformation/Trafficking.aspx

საქმიანობა 2.1.11. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული და საერთაშორისო დღის აღნიშვნა (18 ოქტომბერი, 30 ივლისი)

ინდიკატორი: *ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის დღის აღნიშვნის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები*

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მჭიდრო თანამშრომლობით 2017 წლის 24–25 ივლისს, სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ტრენერებისთვის (სულ 13 მონაწილე) ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი თემაზე „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და თანამედროვე ტენდენციები“.

გადამზადებულმა ტრენერებმა 2017 წლის 30 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს 12 საზოგადოებრივ ცენტრში (ბარალეთი ბერძენაული, ვალე, კიცხი, კოხნარი, ლაჯანა, ნიგოითი, ორსანტია, ტყვიავი, უსახელო, ფოკა, ჭალადიდი) ადგილობრივი მოსახლეობისთვის ჩაატარეს ტრენინგი თემაზე “ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენცია“ (მონაწილეთა საერთო რაოდენობა – 113.

ამასთან, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 2017 წლის 31 ივლისს, საქართველოს ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში მოეწყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2016 წლის საგრანტო პროგრამის „ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა იდენტიფიცირებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა" ფარგლებში მიუსაფარი ბავშვების მიერ გადაღებული ფოტოების გამოფენა.

გარდა ამისა, 2017 წლის 30 ივლისს ფონდის ორგანიზებით სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან, გორში, ქ. გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და დასვენების პარკში, სიღნაღში - გამგეობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერში და ქუთაისში -ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა საინფორმაციო აქციები. ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ, სახელმწიფო სერვისებისა და საკონსულტაციო ცხელი ხაზის პოპულარიზაცია, პრევენციული ღონისძიებების გაცნობა. დაინტერესებულ პირებს ფონდის იურისტებმა გაუწიეს იურიდიული კონსულტაცია.

2018 წლის 30 ივლისს, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით თბილისში რუსთაველის გამზირზე (მეტროს მიმდებარე ტერიტორია) გაიმართა საინფორმაციო აქცია. ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ, სახელმწიფო სერვისებისა და საკონსულტაციო ცხელი ხაზის პოპულარიზაცია, პრევენციული ღონისძიებების გაცნობა. დაინტერესებულ პირებს ფონდის იურისტებმა გაუწიეს იურიდიული კონსულტაცია. დარიგდა ექვსენოვანი ბროშურები, მაისურები და ჩანთები ფონდის ცხელი ხაზის გამოსახულებით.

2018 წლის 22 ოქტომბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ორგანიზებით ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ENIGMMA 2-ის ფარგლებში, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით, სტუდენტებისთვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და თანამედროვე ტენდენციები" (დამსწრეთა რაოდენობა-30).

ამოცანა 2.2. ქუჩაში მცხოვრები და ქუჩაში მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირება და არასრულწლოვანთათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება

საქმიანობა 2.2.1. ქუჩაში მცხოვრები ან/და ქუჩაში მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირება და მათთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მოწესრიგება.

ინდიკატორი: *იდენტიფიცირებულ მიუსაფარ ბავშვთა რაოდენობა; გაცემული საიდენტიფიკაციო დოკუმენტების რაოდენობა;*

ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირების მიზნით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფარგლებში მოქმედებს 4 მობილური ჯგუფი. აღნიშნული მობილური ჯგუფები ცდილობენ, დაამყარონ ურთიერთობა ამ კატეგორიის ბავშვებთან, მოახდინონ ბავშვის საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი დახმარება.

მობილური ჯგუფების მუშაობის შედეგად 2017 წლის განმავლობაში იდენტიფიცირებულ იქნა (კონტაქტი დამყარდა) 332 მიუსაფარი ბავშვი, ხოლო 2018 წელს -355 მიუსაფარი ბავშვი.

რაც შეხეება მიუსაფარი ბავშვებისთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მოწესრიგებას მათი უფლებების დაცვისა და სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის მიზნით 2016 წელს საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართვის საფუძველზე მიუსაფარი და ძალადობის მსხვერპლ ბავშვებზე უსასყიდლოდ გასცემს საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს.

2017-2018 წლების განმავლობაში სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ“ უსასყიდლოდ გასცა 15 დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი 12 მიუსაფარ ბავშვზე და 5 დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი 5 ძალადობის მსხვერპლ ბავშვზე.

საანგარიშო პერიოდში, ასევე, გაიცა 1 პირადობის ელექტრონული მოწმობა 1 ბავშვზე და 5 ბიომეტრიული პასპორტი 5 ბავშვზე.

საქმიანობა 2.2.2. იდენტიფიცირებული ქუჩაში მცხოვრები ან/და ქუჩაში მომუშავე ბავშვების ინფორმირება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ

ინდიკატორი: *ჩატარებული საინფორმაციო ღონისძიებების რაოდენობა და სახეობა; ღონისძიებებში მონაწილე ბავშვთა რაოდენობა*

ერთიანი საინფორმაციო სამოქმედო გეგმის ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამიზნე ჯგუფს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები წარმოადგენენ. ამ კუთხით, 2017 წლის განმავლობაში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ ჯამში 6 საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარა ტრეფიკინგის რისკების თაობაზე მიუსაფარ ბავშვებთან (სულ 65 მონაწილე).

საქმიანობა 2.2.4 ქუჩაში მცხოვრები ან/და ქუჩაში მომუშავე ბავშვების (რომლებიც არ ირიცხებიან სკოლაში) ფორმალურ განათლებაში ჩართვის ხელშეწყობა.

ინდიკატორი: *საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული ბავშვების რაოდენობა*

მიუსაფარი ბავშვების (ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების) ფორმალურ განათლებაში ჩართვის მიზნით 2017-2018 წლებში საქართველოს განათლების სამინისტრომ პროგრამა „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით“ ფარგლებში, ორგანიზაცია ააიპ ,,სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრთან (CDSC)" პარტნიორობით განახორციელა სპეციალური საგანმანათლებლო სერვისი - ,,ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა“, რომელიც 2015 წელს დაიწყო და მისი განხორციელების მიზანი სკოლის მიღმა დარჩენილი და დარჩენის მაღალი რისკის მქონე მიუსაფარი ბავშვების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, სოციალიზაცია და მათი აკადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობაა ფორმალურ განათლებაში ჩართვისა და საზოგადოებაში სრულყოფილი ინტეგრაციისთვის.

პროგრამის ბენეფიციარები იყვნენ შრომის, ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სოციალური დაცვის სააგენტოს მიუსაფარი ბავშვებისთვის არსებული ყველა სერვისის - სადღეღამისო თავშესაფრებისა და დღის ცენტრების მომსახურების მიმღები ბავშვები (ქ. თბილისში, ქ. რუსთავში, ქ. ქუთაისში), რომლებმაც საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის მზადყოფნა და სურვილი გამოთქვეს.

2017-2018 წლებში, სერვისით ისარგებლა 168-მდე ე.წ. ქუჩაში მცხოვრებმა და მომუშავე ბავშვმა. 2018 წელს 60-მდე მათგანი ჩაირიცხა სკოლაში და საერთო ჯამში ჩარიცხულთა რაოდენობა შეადგენს 150-მდე ბავშვს, რომლებიც 43 საჯარო სკოლაში არიან გადანაწილებულები. გრძელდება მათთან სკოლის მიტოვების პრევენციისთვის მუშაობა, მათ შორის სკოლაში სოციალური მუშაობის მხარდაჭერით. რაც შეეხებათ 15 წლის ზევით ბენეფიციარებს, ისინი ემზადებიან და ირიცხებიან პროფესიულ კოლეჯში სწავლის გასაგრძელებლად.

რაც შეეხება მიუსაფარი ბავშვების მიმართ არსებულ სტიგმას, აღნიშნული პრობლემის დაძლევის მიზნით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის:

- საჯარო სკოლების პედაგოგების და დირექტორებისთვის შეიქმნა ტრენინგის მოდული თემაზე „მოწყვლადი ჯგუფების ბავშვთა საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიკაცია, მათთან კომუნიკაციის და თანამშრომლობის სტრატეგიები“, რომელიც სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ტარდება (მინიჭებული ქულა-1 კრედიტი) ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის ბენეფიციარების სკოლებისთვის, მათთან მომუშავე პედაგოგებისთვის; ტრენინგები ჩაუტარდა 20 საჯარო სკოლის 122 მასწავლებელს;
- მიუსაფარი ბავშვების კლასელების მშობლებისთვის განხორციელდა საინფორმაციო კამპანია, რომელიც მოიცავდა მშობლებთან შეხვედრებს, მათთვის მოწყვლადი ჯგუფების ბავშვების შესახებ შექმნილი საინფორმაციო ბროშურების გადაცემას, ბავშვის უფლებებთან,

მათ შორის განათლების უფლებასთან, დაკავშირებული საკითხების და ამ მიმართულებით საზოგადოების თანადგომის გავლენის გასაცნობად.

2017-2018 წლებში საინფორმაციო კამპანიაში ჩართული იყო 16 საჯარო სკოლის 500-მდე მოსწავლის მშობელი (დანარჩენი ბენეფიციარების სკოლის მოსწავლეების მშობლებთან წინა წლებში ჩატარდა იგივე აქტივობა);

- 2017 წელს კოორდინაცია და მონიტორინგი გაეწია სკოლის სოციალური მუშაობის საპილოტე პროექტს - ,,სკოლაში ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის სისტემის ხელშეწყობა“, რომელიც განახორციელა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ (GASW) ჩეხურ არასამთავრობო ორგანიზაციასთან (PIN) თანამშრომლობით. პროექტი დაიგეგმა ,,ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის“ პარტნიორობისთვის, ბენეფიციარი მიუსაფარი ბავშვების და ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფებიდან ბავშვების საჯარო სკოლაში სრულფასოვანი ინტეგრაციის მხარდასაჭერად, სკოლაში სოციალური მუშაობის მიმართულებების განსაზღვრისთვის.

3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა

ამოცანა 3.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრების) ეფექტური საქმიანობა

საქმიანობა 3.1.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა არსებული თავშესაფრების საქმიანობის მონიტორინგი და მონიტორინგის საფუძველზე ანგარიშის მომზადება

ინდიკატორი: *შესრულებული ვიზიტების რაოდენობა და მონიტორინგის საფუძველზე მომზადებული ანგარიში*

ფონდი ყოველწლიურად, გარკვეული პერიოდულობით, ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაწესებულებების (თავშესაფრები) საქმიანობის მონიტორინგს, რაც გამოიხატება ცენტრალური აპარატის ბაზაზე შექმნილი მონიტორინგის, შეფასებისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს მიერ თავშესაფრების ადგილზე შემოწმებაში. 2017 წელს განხორციელდა თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) გეგმიური მონიტორინგი იანვარსა და ივნისში, ხოლო ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა თებერვალსა და ივლისში. 2018 წელს განხორციელდა თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და

ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) გეგმიური მონიტორინგი იანვარსა და სექტემბერში, ხოლო ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) გეგმიური მონიტორინგი - თებერვალსა და ივლისში.

საქმიანობა 3.1.2. არსებულ თავშესაფრებში მომსახურების მიწოდებისას ბავშვის (განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის) საჭიროებების გათვალისწინება

ინდიკატორი: *ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის შესაბამისი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფილი თავშესაფრები*

თავშესაფრის მომსახურება საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებზე მორგებული რეინტეგრაცია-რეაბილიტაციის ფორმების მიხედვით. მომსახურებები ხორციელდებოდა როგორც არასრულწლოვან მსხვერპლებზე, ასევე მსხვერპლებზე დამოკიდებულ არასრულწლოვნებზე. საანგარიშო პერიოდში ფონდის მომსახურებით (იურიდიული კონსულტაციით) ისარგებლა ერთმა მდედრობითი სქესის არასრულწლოვანმა.

2018 წელს ფონდის მომსახურებებით არ უსარგებლია არასრუწლოვან მსხვერპლს/სავარაუდო მსხვერპლს, ვინაიდან 2018 წელს იდენტიფიცირებულ არასრუწლოვან დაზარალებულებს მომსახურებებს აწვდიდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

2017 წელს იდენტიფიცირებულ იქნა ტრეფიკინგის 8 დაზარალებული (4 საქართველოს მოქალაქე და 2 უზბეკი ქალი სექსუალური ექსპლუატაციის შედეგად დაზარალებული და 2 უკრაინელი ქალი შრომითი ექსპლუატაციის შედეგად დაზარალებული) 5 საქმეში და 4 მსხვერპლი (2 სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ქართველი ქალი და 2 უზბეკი ქალი) 2 საქმეში,

2017 წელს იდენტიფიცირებული მსხვერპლებიდან/დაზარალებულებიდან 1-ს მიენიჭა როგორც მსხვერპლის, ისე დაზარალებულის სტატუსი.

2017 წელს იდენტიფიცირებული მსხვერპლებიდან/დაზარალებულებიდან:

- **თავშესაფრის მომსახურებით** ისარგებლა 6-მა დაზარალებულმა, ხოლო **კრიზისული ცენტრით** 1-მა მსხვერპლმა ქალმა;
- **იურიდიული კონსულტაცია** გაეწია ყველა იდენტიფიცირებულ მსხვერპლს და დაზარალებულს, ხოლო **იურიდიული დახმარებით** ისარგებლა 2-მა დაზარალებულმა;
- **სამეციდინო დახმარებით** ისარგებლა 3-მა დაზარალებულმა და 2-მა მსხვერპლმა;
- **ფსიქოლოგიური დახმარებით** ისარგებლა 6-მა დაზარალებულმა და 1-მა მსხვერპლმა.
- ერთჯერადი სახელმწიფო კომპენსაციით ისარგებლა 1-მა მსხვერპლმა.

2018 წელს იდენტიფიცირებულ იქნა 7 დაზარალებული, რომელთაგან 2-ს მინიჭებული აქვს როგორც დაზარალებულის, ისე მსხვერპლის სტატუსი.

იდენტიფიცირებული 7 დაზარალებულიდან 2 არის უზბეკეთის მოქალაქე სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ქალი, 2- საქართველოს მოქალაქე სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ქალი, 2 საქართველოს მოქალაქე გოგონა, რომლებიც გახდნენ მათხოვრობაში ჩაბმის გზით ექსპლუატაციის მსხვერპლნი და 1 ახალდაბადებული ბიჭი, რომელიც გახდა ტრეფიკინგის მსხვერპლი (გაყიდვა).

თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა 2-მა უზბეკმა და 1-მა ქართველმა ქალმა. იურიდიული დახმარები ისარგებლა 2-მა უზბეკმა ქალმა, ხოლო სამედიცინო დახმარებით -1-მა უზბეკმა ქალმა.

იდენტიფიცირებულმა 2-მა ქართველმა დაზარალებულმა თავშესაფრის გარდა სხვა სერვისების მიღებაზე უარი განაცხადეს.

რაც შეეხება იდენტიფიცირებულ ბავშვებს, გოგონები გადამისამართდნენ სოციალური მომსახურების სააგენტოში და მათთან მუშაობდნენ ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები. განთავსებულ იქნენ, ასევე, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში. გოგონები ასევე ჩაირიცხნენ სკოლაში განათლების მიღების მიზნით. რაც შეეხება ახალდაბადებულ ბიჭს, იგი მინდობით აღზრდაში განთავსდა.

ამოცანა 3.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება ნებაყოფლობით და უსაფრთხოდ და დაბრუნებულთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა

საქმიანობა 3.2.1. უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა, საჭიროების შემთხვევაში, დროებითი ბინადრობის ნებართვით უზრუნველყოფა

ინდიკატორი: *მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა, რომლებსაც მიეცათ დროებითი ბინადრობის ნებართვა*

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე ტრეფიკინგის დაზარალებული/მსხვერპლი პირი საქართველოში ლეგალური ცხოვრებითა და მუშაობით, საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" ითვალისწინებს უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე ტრეფიკინგის მსხვერპლისა და დაზარალებულისათვის სპეციალური ბინადრობის ნებართვის მოწმობის გაცემას. ბინადრობის ნებართვის მოწმობას გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურის ან ფონდის მიმართვის საფუძველზე.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2017-2018 წლებში საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე გასცა სპეციალური ბინადრობის ნებართვა ტრეფიკინგის დაზარალებულად ცნობილ უცხო ქვეყნის 3 მოქალაქეზე.

საქმიანობა 3.2.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ/დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში, ხოლო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხოდ დაბრუნების უზრუნველყოფა

ინდიკატორი: *მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში დაბრუნებულ ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა*

ფონდის ერთ–ერთი ფუნქციაა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ნებაყოფლობით და უსაფრთხოდ დაბრუნება. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არ მქონე პირს მინიჭებული აქვს ტრეფიკინგის მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსი მას უფლება აქვს ისარგებლოს ფონდის მომსახურებებით, მათ შორის გამოთქვას სურვილი მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნების. ფონდი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს მათ სამშობლოში დაბრუნებას.

2017 წელს შრომითი ექსპლუატაციის 2 დაზარალებული ქალი დაბრუნდა უკრაინაში, ხოლო 1 სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ქალი დაბრუნდა უზბეკეთში. 2018 წელს მსგავსი მომსახურების გაწევის საჭიროება არ დამდგარა.

საქმიანობა 3.2.3. ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა ახალი ტენდენციების შესაბამისად

ინდიკატორი: *შესწავლილ პროგრამებზე მომზადებული დასკვნა და შეფასება; არსებულ პროგრამებში შეტანილი ცვლილებები*

ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა არსებული რეინტეგრაცია-რეაბილიტაციის პროცესი თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად დაიხვეწა 2018 წელს. ფონდის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა ბენეფიციართა პირადი საქმეების წარმოებისათვის საჭირო ახალი ფორმები, მათ შორის, შეფასების ფორმები, შემთხვევის მართვის (რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის) გეგმები. აღნიშნული ფორმები განკუთვნილია ტრეფიკინგის სრულწლოვანი მსხვერპლისათვის/დაზარალებულისათვის, მსხვერპლზე/დაზარალებულზე დამოკიდებული სრულწლოვანი პირისათვის, არასრულწლოვანი მსხვერპლის/დაზარალებულისათვის,

მსხვერპლზე/დაზარალებულზე დამოკიდებული არასრულწლოვანი პირისათვის, სრულწლოვანი და არასრულწლოვანი სავარაუდო მსხვერპლებისათვის და მასზე დამოკიდებული სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირებისათვის.

4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნა

ამოცანა 4.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიებისათვის პროაქტიული მიდგომების და სხვა უახლესი მეთოდოლოგიების დანერგვა საუკეთესო უცხოური პრაქტიკის გამოყენებით;

საქმიანობა 4.1.1. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე უწყებების მიერ, საჭიროების შემთხვევაში, დასრულებული საქმეების ერთობლივი განხილვა ტრეფიკინგის დანაშაულის ახალი ტენდენციების გამოვლენის მიზნით

ინდიკატორი: შეხვედრებისა და განხილულ საქმეთა რაოდენობა, გამოვლენილი ტენდენციები და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რეკომენდაციები

2017 წლის 9 ოქტომბერს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის და ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ერთობლივი შეხვედრა გაიმართა ქ. ბათუმში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისა და მოსამართლეების მონაწილეობით. შეხვედრის მიზანი იყო ტრეფიკინგის საქმეებიდან გამომდინარე საქართველოში არსებული გამოწვევის განხილვა. შედეგად, საბჭოს ფარგლებში დროებით მოქმედმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. ცვლილებების მიზანია ტრეფიკინგის საქმეების სწორი კვალიფიკაციის ხელშეწყობა.

ცვლილებები განხილულ და მოწონებულ იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს 2017 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე, სადაც საბჭოს წევრმა ყველა სამთავრობო უწყებამ, პარტნიორმა ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს.

საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2018 წლის 17 მაისს, ხოლო ძალაშია 2018 წლის 12 ივლისიდან.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის მიზნით 2018 წლის 10-12 ივლისს იუსტიციის სამინისტროს, მთავარი პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ორგანიზებით ტრეფიკინგზე და მასთან მომიჯნავე დანაშაულებზე მომუშავე

პროკურორებისა და გამომძიებლებისგან შემდგარი 3 ჯგუფისთვის ჩატარდა 1-დღიანი ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე (მონაწილეთა რაოდენობა - 55).

საქმიანობა 4.1.2. გამომძიებლებისა და ოპერატიული მუშაკებისთვის შემუშავებული ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის სტანდარტული ოპერატიული პროცედურების (SOPs) ეფექტიანი შესრულება

ინდიკატორი: *სტანდარტული ოპერატიული პროცედურების მიხედვით გამოკითხულ პირთა რაოდენობა; SOP-ების იმპლემენტაციის შესახებ ანგარიში*

2015 წლის იანვარში შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცდა გამომძიებლებისთვის, ოპერატიული მუშაკებისა და შემოწმების მობილური ჯგუფის წევრებისათვის შექმნილი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის სტანდარტული ოპერატიული პროცედურები (SOPs), რომელიც პრაქტიკაში დანერგვის მიზნით დაეგზავნა ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე სამართალდამცველებს. ისინი ყოველდღიურად იყენებენ მას, როგორც სახელმძღვანელო ინსტრუქციას, ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების მიზნით.

გარდა ამისა, 2018 წლის იანვარში შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების მონიტორინგს ახორციელებს. მონიტორინგი ხორციელდება, შეტყობინებებისა და ელექტრონულ სისტემაში ჩატვირთული მონაცემებზე პოლიციელთა რეაგირების ადეკვატურობის და ხარისხის შეფასების გზით, რომელზეც დეპარტამენტის თანამშრომლებს აქვთ სპეციალური დაშვება. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, დეპარტამენტი უკავშირდება საქმის გამომძიებელს (ან/და მის ზემდგომს), აძლევს შესაბამის მითითებებს და გამოსცემს რეკომენდაციებს და გეგმავს კვალიფიკაციის ასამაღლებელ აქტივობებს. ამასთანავე, გამოძიების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს ზემოაღნიშნული დანაშაულების გამოძიების სახელმძღვანელოების დამუშავება, რეკომენდაციების მომზადება და პრაქტიკაში დანერგვა, ასევე მისი პერიოდული განახლება საკანონმდებლო ცვლილებებისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს დანაშაულის დროულ და ეფექტიან გამოძიებას. აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტი ამავდროულად ემსახურება პოლიციელების კონსულტირებას კომპეტენციის მიკუთვნებულ საკითხებზე და წარმოადგენს საკონტაქტო დანაყოფს სამინისტროსა და სამოქალაქო სექტორს შორის.

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მობილური ჯგუფების მიერ განხორციელებულ

იქნა საქართველოს მასშტაბით ტრეფიკინგის რისკშემცველი ადგილების გამოვლენა-აღრიცხვა, გამოვლენილ იქნა რიგი დაწესებულებებისა, მათ შორის ისინი სადაც სისტემატურად ხდებოდა პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა. გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად მობილური ჯგუფების მიერ 2017 წელს გამოკითხული იქნა 357 პირი, მათ მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის კუთხით და შემოწმდა 81 დაწესებულება, ხოლო 2018 წელს გამოკითხული იქნა 178 პირი, მათ მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის კუთხით და შემოწმდა 42 დაწესებულება.

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების (მობილური ჯგუფის წევრების) მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის მიზნით 24/7 ხდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის კონტროლი და სისტემატურად მიმდინარეობს თურქეთის რესპუბლიკიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან დეპორტირებულ მოქალაქეებთან გასაუბრება. 2017-2018 წლებში გამოკითხულია 5753 დეპორტირებული მოქალაქე.

გარდა ამისა, სპეციალისტთა ჯგუფი (TASK FORCE) აგრძელებს აჭარის რეგიონში ტრეფიკინგის რისკის შემცველი ადგილების პროაქტიულ შემოწმებასა და რისკ-ჯგუფის შემცველ დაწესებულებებში მომუშავე პირთა, მათ შორის, პროსტიტუციაში ჩართულ პირთა, გამოკითხვას და მათი ინფორმირებას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ. შემოწმების განმავლობაში სპეციალისტთა ჯგუფის წევრები აქტიურად არიგებენ საინფორმაციო ხასიათის ბროშურებს ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებების და სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებული სერვისების შესახებ.

Task Force-ს მიერ გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 2017 წელს შემოწმდა 68 დაწესებულება, ხოლო გამოიკითხა 325 მოქალაქე, მათ მიმართ შესაძლო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის კუთხით, ხოლო 2018 წელს შემოწმდა 42 დაწესებულება და გამოკითხულ იქნა 141 მოქალაქე.

საქმიანობა 4.1.3. სამართალდამცავი ორგანოებისათვის შემუშავებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპების დახვეწა

ინდიკატორი: *შემუშავებულია და სახელმძღვანელო პრინციპების დოკუმენტში ასახულია ცვლილებები*

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობითა და ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით 2017 წლის 24-25 ივნისს, ყვარელში გასვლითი შეხვედრა ჩატარდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მონაწილეობით. შეხვედრის მიზანი იყო ტრეფიკინგთან ბრძოლის საბჭოს მიერ 2014 წელს დამტკიცებული სახელმძღვანელო პრინციპების განახლება სამართალდამცავებისთვის ტრეფიკინგის დანაშულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის თაობაზე.

სახელმძღვანელო პრინციპების განახლების პროცესში გამოყენებულ იქნა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ გაერთიანებული ერების ორგანიზაცის კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ,“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მოდელური კანონი (UNODC Model Law against Trafficking in Persons), ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

განახლებული სახელმძღვანელო პრინციპები საბჭომ დაამტკიცა 2017 წლის 19 დეკემბერს გამართულ საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭო წევრი სამთავრობო უწყებები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები.

გარდა ამისა, საბჭომ იმავე სხდომაზე დაამტკიცა ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების სახელმძღვანელო პრინციპები საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე (სასაზღვრო გამტარი და საბაჟო გამშვები პუნქტები, სახმელეთო და სანაპირო საზღვარი) მომუშავე პერსონალისთვის. დოკუმენტის მიზანია იმ ინდიკატორების და სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც დაეხმარებათ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მომუშავე პერსონალს, საზღვარზევე მოახდინონ ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა დროული იდენტიფიცირება და მათი დახმარების მიზნით ეროვნულ რეფერალურ მექანიზმში ეფექტიანი ჩართვა.

საქმიანობა 4.1.4 ტრეფიკინგის სავარაუდო შემთხვევაზე სისხლის სამართლის საქმის მსვლელობაში აქტიური ჩართულობის მიზნით მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება

ინდიკატორი: *შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპები; საქმეების რაოდენობა, რომლებშიც ჩართულნი იყვნენ მოწმეთა და დაზარალებულთა კოორდინატორები*

ტრეფიკინგის სავარაუდო შემთხვევაზე სისხლის სამართლის საქმის მსვლელობაში აქტიური ჩართულობის მიზნით მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის სახელმძღვანელო პრინციპები შემუშავებულია.

სისხლის სამართალწარმოების პროცესში ჩართულ მოწმეთა და დაზარალებულთა ინტერესების დაცვის, მათი მხარდაჭერის და ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს პროკურატურის ინიციატივით, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ფუნქციები გაიზარდა. 2018 წლის 21 მაისიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, კოორდინატორი სამართალწარმოების პროცესის მონაწილე გახდა და აღიჭურვა მნიშვნელოვანი ფუნქციებით, მათ შორის, მოწმის ან დაზარალებულის მონაწილეობით მიმდინარე საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებზე დასწრებისა და ამ მოქმედებების განმავლობაში, მათი ემოციური მხარდაჭერის ფუნქციით. მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორების შემუშავებულ რეკომენდაციაში პრიორიტეტულად მითითებულია ტრეფიკინგის დანაშაულები, სადაც მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი უნდა ჩაერთოს ტრეფიკინგის დაზარალებულის მხარდასაჭერად.

2018 წელს გამართულ შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები, რომლებიც გაეცნენ ტრეფიკინგის მსხვერპლებთან ურთიერთობის საერთაშორისო სტანდარტებს. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა ტრეფიკინგის საქმეებში პრიორიტეტულად განხორციელდება.

მას შემდეგ რაც 2018 წელს ამოქმედდა საკანონმდებლო ცვლილებები მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი ჩაერთო 2 სისხლის სამართლის საქმეში, განახორციელა 4 დაზარალებულის, მათ შორის 2 არასრულწლოვნის და 12 მოწმის მხარდაჭერა.

ამოცანა 4.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების პროაქტიული გამოვლენა

საქმიანობა 4.2.1. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფის რაოდენობის გაზრდა და ფუნქციონირება

ინდიკატორი: *შემოწმების მობილური ჯგუფების რაოდენობა; შემოწმების მობილური ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტები, დანაშულის ნიშნების შემცველი გამოვლენილი ფაქტების რაოდენობა*

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში ფუნქციონირებას აგრძელებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფი. 2017-2018 წლებში ფუნქციონირებდა შემოწმების ოთხი მობილური ჯგუფი. თითოეული მობილური ჯგუფი დაკომპლექტდა ორი სამართალდამცველისგან, რომელთა ძირითად მოვალეობას წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკისშემცველი დაწესებულებების, ადგილების გამოვლენა, სადაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტებს,

ასევე, რისკჯგუფს მიკუთვნებულ პირთა გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით.

როგორც 4.1.2 საქმიანობის შესრულების ანგარიშში აღინიშნა მობილური ჯგუფების მიერ 2017 წელს გამოკითხული იქნა 357 პირი, მათ მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის კუთხით და შემოწმდა 81 დაწესებულება, ხოლო 2018 წელს გამოკითხულ იქნა 178 პირი, მათ მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის კუთხით და შემოწმდა 42 დაწესებულება, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გამოიკითხა თურქეთის რესპუბლიკიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან დეპორტირებული 5753 მოქალაქე.

მობილური ჯგუფის მიერ მიმდინარეობს საზოგადოების ინფორმირება არალეგალურად მუშაობის რისკების შესახებ და დანიშნულების ქვეყანაში ყოფნისა და მუშაობის შესახებ არსებული ნორმების და მოთხოვნების გაცნობა.

გარდა ამისა, ორგანოებით ვაჭრობის ფაქტების პრევენციის, მსგავსი დანაშაულის აღკვეთის, დონორებსა და პაციენტებს შორის უკანონო გარიგების ან/და ორგანოების იძულებით გადანერგვის ფაქტების გამოვლენის მიზნით მჭიდრო თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს შორის. ძირითადად სასამართლოდან მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო ახორციელებს დონორებისა და რეციპიენტების გამოკითხვას და გადანერგვასთან დაკავშირებული გარემოებების გადამოწმებას.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, პროაქტიული და პრევენციული ღონისძიებების გაძლიერების მიზნით შემოწმების მობილური ჯგუფების მიერ აქტიურად მიმდინარეობს იმ პირებისა და ორგანიზაციების შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მობილური ჯგუფის მიერ ხდება ქ. თბილისის ავტოსადგურებში არსებული ორგანიზაციების შესწავლა, რომლებიც ეწევიან მოქალაქეების საზღვარგარეთ გადაყვანას. ასევე, არალეგალური მიგრაციის ხელშეწყობის, ყალბი დოკუმენტის დამზადებისა და ტრეფიკინგთან მათი თანამონაწილეობის ფაქტების დადგენის მიზნით ხორციელდება ტურისტული კომპანიების საქმიანობის, იმ ორგანიზაციების და პირთა შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფენ საზღვარგარეთ წამსვლელ პირთათვის სავიზო მომსახურების გაწევას.

დამატებით, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და ჯანდაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტს შორის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების გამოვლენის ხელშეწყობის შესახებ“ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე მობილური ჯგუფის მიერ 2017 წლის პერიოდში გამოიკითხა 70 პირი.

არასრულწლოვანთა ყიდვა/გაყიდვის ან მათ მიმართ სხვა უკანონო გარიგების ფაქტების გამოვლენის მიზნით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო აქტიურად თანამშრომლობს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, საიდანაც პერიოდულად ხდება ინფორმაციის გადმოგზავნა არასრულწლოვან პირთა გაშვილების შესახებ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მიმდინარეობს მშვილებელი და გამშვილებელი მოქალაქეების შესწავლა და მათი გამოკითხვა არასრულწლოვნის მიმართ რაიმე სახის გარიგების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით.

შედეგად, 2017 წელს მობილური ჯგუფების მიერ გამოძიება დაიწყო ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის 14 სავარაუდო ფაქტზე, რომელთაგან 7 დაწყებულია პროაქტიულად, ხოლო 7 საქმე დაწყებულია მომართვის საფუძველზე. 2018 წელს მობილური ჯგუფების მიერ გამოძიება დაიწყო ტრეფიკინგის 9 სავარაუდო ფაქტზე, რომელთაგან 5 დაწყებულია პროაქტიულად, ხოლო 4 - მომართვის საფუძველზე.

2017 წელს 4 საქართველოს მოქალაქე ქალს მიენიჭა სექსუალაური ექსპლუატაციის დაზარალებულის სტატუსი, ხოლო 2 უკრაინის მოქალაქე ქალს - შრომითი ექსპლუატაციის დაზარალებულის სტატუსი. 2018 წელს 2 საქართველოს მოქალაქე ქალს მიენიჭა სექსუალური ექსპლუატაციის დაზარალებულის სტატუსი, 2 საქართველოს მოქალაქე არასრულწლოვან გოგონას - მათხოვრობაში ჩაბმის გზით ექსპლუატაციის და 1 ახალდაბადებულ მამრობითი სქესის ბავშვს ტრეფიკინგის დაზარალებულის სტატუსი (გაყიდვა).

საქმიანობა 4.2.2. სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) შესაძლებლობების გაზრდა და მათ მიერ ტრეფიკინგის რისკის შემცველი ადგილების შემოწმებისა და პოლიციური კონტროლის განხორციელება

ინდიკატორი: სპეციალისტების ჯგუფის წევრების მონაწილეობით განხორციელებული პოლიციური კონტროლის და შემოწმებული დაწესებულებების/ადგილების რაოდენობა; გამოვლენილი დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობა

როგორც 4.1.2 საქმიანობის შესრულების ანგარიშში აღინიშნა სპეციალისტთა ჯგუფი (TASK FORCE) აგრძელებს აჭარის რეგიონში ტრეფიკინგის რისკის შემცველი ადგილების პროაქტიულ შემოწმებასა და რისკ-ჯგუფის შემცველ დაწესებულებებში მომუშავე პირთა, მათ შორის, პროსტიტუციაში ჩართულ პირთა, გამოკითხვას და მათი ინფორმირებას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ. შემოწმების განმავლობაში სპეციალისტთა ჯგუფის წევრები აქტიურად არიგებენ საინფორმაციო ხასიათის ბროშურებს ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებების და სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებული სერვისების შესახებ.

Task Force-ს მიერ გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 2017 წელს შემოწმდა 68 დაწესებულება, ხოლო გამოიკითხა 325 მოქალაქე, მათ მიმართ შესაძლო ადამიანით

ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის კუთხით, ხოლო 2018 წელს შემოწმდა 42 დაწესებულება და გამოკითხულ იქნა 141 მოქალაქე.

შედეგად, 2017 წლის განმავლობაში სპეციალისტთა ჯგუფმა ტრეფიკინგის 8 სავარუდო ფაქტზე დაიწყო 8 გამოძიება, რომელთაგან 5 საქმეზე გამოძიება დაიწყო პროაქტიულად, ხოლო 3 გამოძიება - მომართვის საფუძველზე. 2018 წელს გამოძიება დაიწყო ტრეფიკინგის 11 სავარაუდო ფაქტზე, რომელთაგან 7 გამოძიება დაწყებულ იქნა პროაქტიულად, ხოლო 4 გამოძიება - მომართვის საფუძველზე. შედეგად, 2017-2018 წლებში სექსუალური ექსპლუატაციის დაზარალებულად ცნობილ იქნა 4 უზბეკეთის მოქალაქე ქალი.

საქმიანობა 4.2.3. ტრეფიკინგის მსხვერპლთა ჩვენების არარსებობისას გამოძიებების დაწყება პროაქტიულად

ინდიკატორი: *პროაქტიულად დაწყებული გამოძიებების რაოდენობა*

დეტალური ინფორმაცია მოცემულია 4.2.1 და 4.2.2 საქმიანობების განხორციელების ანგარიშში.

საქმიანობა 4.2.4. იურიდიული პირების მიმართ ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის კუთხით ძალისხმევის გაძლიერება

ინდიკატორი: *შემოწმებული დაწესებულებების/ადგილების რაოდენობა; გამოვლენილი დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობა*

დეტალური ინფორმაცია მოცემულია 4.2.1 და 4.2.2 საქმიანობების განხორციელებული ამსახველ ანგარიშში.

გარდა ამისა, იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების გამოვლენის მიზნით ჯანდაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი გეგმიურად და არაგეგმიურად ამოწმებს კომპანიებს. 2017 წელს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა შეამოწმა 113 კომპანია, მათ შორის 6 არაგეგმიურად, ხოლო 2018 წელს - 154 კომპანია, მათ შორის არაგეგმიურად 2 კომპანია. ტრეფიკინგის შესაძლო ნიშნების არ გამოვლენის გამო კი არცერთი საქმე არ იქნა გადაცემული საგამოძიებო უწყებებისათვის.

გასათვალისიწინებელია ის გარემოება, რომ ყველა შემოწმებულ კომპანიაში, შრომის პირობების ინსპექტირების განმახორციელებელი პირები ახდენენ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ინფორმირებას ტრეფიკინგის რისკებისა და პრევენციის მექანიზმების შესახებ *(დეტალური ინფორმაცია მოცემულია 2.1.9 საქმიანობის ქვეშ).*

საქმიანობა 4.2.5. სისხლის სამართლის საქმის შესახებ სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება, სადაც მითითებული იქნება ექსპლუატაციის სახე, მსხვერპლთა/დაზარალებულთა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულისთვის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესი, ასაკი, ეროვნება

ინდიკატორი: *შემუშავებული და გამოქვეყნებული სტატისტიკა*

2015 წლიდან საბჭოს სამდივნო (იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი) აწარმოებს ტრეფიკინგის ერთიან მონაცემთა ბაზას, რომელიც მუდმივად განახლების პროცესშია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და ფონდის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

ინტეგრირებული მონაცემთა ბაზა შეიცავს 2010-2018 წლების შემდეგი სახის ინფორმაციას:

1. მონაცემები სისხლის სამართლის საქმეების შესახებ – გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, სასამართლოში გაგზავნილი საქმეებისა და განაჩენების რაოდენობა სეგრეგირებული ექსპლუატაციის ფორმის მიხედვით;

2. მონაცემები ბრალდებული და მსჯავრდებული პირების შესახებ – რაოდენობა, მოქალაქეობა, ასაკი, სქესი, სასჯელის სახე;

3. მონაცემები ტრეფიკინგის დაზარალებულისა და მსხვერპლის შესახებ – რაოდენობა, მოქალაქეობა, სქესი, ასაკი, ექსპლუატაციის ფორმა, სახელმწიფო ფონდის რა სახის სერვისებით ისარგებლა (სამედიცინო, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური, თავშესაფარი, კომპენსაცია);

4. სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი ურთიერთდახმარება და საპოლიციო თანამშრომლობა – ტრეფიკინგის თემაზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შუამდგომლობებისა და ექსტრადიციების რაოდენობა სეგრეგირებული სახელმწიფოთა მიხედვით. სტატისტიკური ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვით მუდმივად ქვეყნდება იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე: http://justice.gov.ge/Ministry/Index/357

5. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება

ამოცანა 5.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეების გამოძიების დახვეწის მიზნით სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების პროფესიული განვითარება

საქმიანობა 5.1.1. პროკურორებისა და სტაჟიორ-პროკურორების სისტემატური გადამზადება და ახალი ტენდენციების გაცნობა ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე

ინდიკატორი: *გადამზადებული პროკურორებისა და სტაჟიორ-პროკურორების რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა; ტრენინგების მონაწილეების მიერ შევსებული შეფასების ფორმების რაოდენობა და მათი შინაარსი*

2017 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე პროკურორებისთვის ჩატარდა 5 სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 43-მა პროკურორმა და პროკურატურის გამომძიებელმა.

ასევე, 2017 წლის 13 ნოემბრიდან საქართველოს პროკურატურის სტაჟიორები გადიან ინტენსიურ მოსამზადებელ კურსს. სასწავლო პროგრამა მოიცავს ადამიანის უფლებათა სწავლების მოდულს, მათ შორის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებს, საერთაშორისო და ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოს, ტრეფიკინგის დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხებს. აღნიშნული მიმართულებით სწავლება გაიარა 62 სტაჟიორმა.

ტრენინგების მონაწილეების მიერ ჯამში შეფასდა ორი ტრენინგი ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის თემაზე.

ტრეფიკინგის თემაზე კერძოდ შეფასდა 2017 წლის 14-16 მარტს საქართველოს მთავარ პროკურატურაში შრომითი ექსპლუატაციის, განსაკუთრებით კი არასრულწლოვანთა შრომითი ექსპლუატაციის თემაზე, პროკურორებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლებისთვის ერთობლივი ტრენინგი ბრიტანელი ექსპერტის მონაწილეობით. პროექტი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობითა და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით განხორციელდა. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო თბილისისა და აჭარის პროკურატურის 8, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებისა და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის 11-მა თანამშრომელმა.

უკუკავშირი შეავსო 16 მსმენელმა და მთლიანობაში ტრენინგი შეფასდა 4.75 ქულით (მაქსიმალური შეფასება - 5).

2018 წელს ადამიანთა ვაჭრობისა (ტრეფიკინგი) და საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის თემებზე განხორციელდა 14 სასწავლო აქტივობა, რომელშიც ჩართული იყო 79 მსმენელი

(პროკურორი/სისტემის გამომძიებელი). მათ შორის, სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოს (CEPOL) ორგანიზებით განხორციელდა 2 გაცვლითი პროგრამა საქართველოს, საბერძნეთსა და ბულგარეთის მონაწილეობით. გაცვლითი პროგრამების ფარგლებში შედგა ორმხრივი ვიზიტები, სადაც მონაწილე მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება დანაშაულთან ბრძოლის მეთოდებსა და არსებული წარმატებული პრაქტიკის შესახებ.

2018 წლის 14-15 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (1), პროკურატურისა (1) და შინაგან საქმეთა სამინისტროს (3) თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. სტოკჰოლმში გამართულ ვიზიტში, რომელიც მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით არსებული გამოცდილების გაზიარებას. ღონისძიება განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა" ფარგლებში. მონაწილეებმა გამოცდილება გაუზიარეს მათ შვედ, მოლდოველ, უკრაინელ და სომეხ კოლეგებს.

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე პროკურორებისა და სტაჟიორ-პროკურორებისთვის ჩატარდა 7 სასწავლო აქტივობა. აღნიშნული აქტივობების ფარგლებში გადამზადება პროკურატურის 36-მა წარმომადგენელმა გაიარა.

2018 წლის 10-12 ივლისს იუსტიციის სამინისტროს, მთავარი პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ორგანიზებით ტრეფიკინგზე და მასთან მომიჯნავე დანაშაულებზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლებისგან შემდგარი 3 ჯგუფისთვის ჩატარდა 1-დღიანი ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე და ამ მიმართულებით სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე. მონაწილეობა მიიღო 17-მა პროკურორმა და პროკურატურის 5-მა სტაჟიორმა.

2018 წლის 14-19 ოქტომბერს, ქ. მინსკში გამართულ ტრენინგს თემაზე “Combating child pornography in the Internet” დაესწრო 1 პროკურორი.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე ჩატარდა 4 სასწავლო აქტივობა. აღნიშნული აქტივობების ფარგლებში გადამზადება გაიარა 14-მა პროკურორმა და პროკურატურის 6-მა სტაჟიორმა.

საქმიანობა 5.1.2. მოწმეთა და დაზარალებულთა კოორდინატორების გადამზადება ტრეფიკინგის საქმეებზე სისხლის სამართალწარმოებაში ეფექტიანად ჩართვის მიზნით

ინდიკატორი: *გადამზადებული კოორდინატორების რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა; ტრენინგების მონაწილეების მიერ შევსებული შეფასების ფორმების რაოდენობა და მათი შინაარსი*

2017 წელს, ტრეფიკინგის საქმეებზე სისხლის სამართალწარმოების პროცესში ეფექტიანად ჩართვისა და საქართველოს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის გაძლიერების მიზნით, განხორციელდა 3 სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა პროკურატურის 38-მა წარმომადგენელმა, მათ შორის 17-მა კოორდინატორმა.

2018 წელს კოორდინატორების პროფესიული მომზადების უზრუნველსაყოფად 3-დღიანი ტრენინგი განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც დეტალურად იქნა განხილული კოორდინატორების საქმიანობის სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები. ასევე, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები ეწვივნენ თბილისში არსებულ ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრებს, სადაც მიიღეს ინფორმაცია თავშესაფრის სერვისების, მსხვერპლთა მიღების კრიტერიუმებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

საქმიანობა 5.1.3. სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მომუშავე პერსონალის გადამზადება მსხვერპლთა/პოტენციურ მსხვერპლთა და დამნაშავეთა გამოვლენის ახალი მეთოდების დანერგვის მიზნით

ინდიკატორი: *გადამზადებული პერსონალის რაოდენობა, ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა; ტრენინგების მონაწილეების მიერ შევსებული შეფასების ფორმების რაოდენობა და მათი შინაარსი*

ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე დროული და ეფექტიანი იდენტიფიცირებისა და მათი დახმარების მიზნით სასაზღვრო გამტარ პუნტქში მომუშავე პერსონალის ეროვნულ რეფერალურ მექანიზმში ეფექტიანი ჩართვის მიზნით საბჭოს ფარლებში შექმნილმა დროებითმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლთა იდენტიფიცირების სახელმძღვანელო პრინციპები საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე (სასაზღვრო გამტარი და საბაჟო გამშვები პუნქტები, სახმელეთო და სანაპირო საზღვარი) მომუშავე პერსონალისთვის.

დოკუმენტის შემუშავების მიზნით, 2017 წლის 16-17 ივნისს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) მჭიდრო თანამშრომლობითა და ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა გასვლითი შეხვედრა ბორჯომში. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა (სულ 9 თანამშრომელი).

შედეგად შემუშავდა და 2017 წლის 19 დეკემბერს საბჭომ დაამტკიცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლთა იდენტიფიცირების სახელმძღვანელო პრინციპები საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე (სასაზღვრო გამტარი და საბაჟო გამშვები პუნქტები, სახმელეთო და სანაპირო საზღვარი) მომუშავე პერსონალისთვის.

რაც შეეხება კვალიკიკაციის ამაღლებას, 2018 წლის 14-18 მაისს, საზღვრის და საპატრულო პოლიციის ორმა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისში განხორციელებულ მესაზღვრეთა რეგიონალურ კურსში ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

2018 წლის 26-27 ივნისს, შსს-ს აკადემიაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებისა და შვედი ექსპერტების ჩართულობით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე 2-დღიანი ტრენინგი გაიმართა სასაზღვრო გამტარ და საბაჟო გამშვებ პუნქტებში მომუშავე პერსონალისთვის (30-მდე მონაწილე).

ტრენინგის მიზანი იყო ერთი მხრივ საზღვარზე მომუშავე პერსონალისთვის ტრეფიკინგის თემაზე კვალიფიკაციის ამაღლება, მეორე მხრივ კი - საბჭოს მიერ ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა ამოსაცნობ ინდიკატორებზე 2017 წლის 19 დეკემბერს დამტკიცებული სახელმძღვანელო დოკუმენტის გაცნობა.

ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს (Frontex) ორგანიზებით 2018 წლის 23-27 ივლისს ქ. ალხესირაში (ესპანეთი) ჩატარდა ერთობლივი ოპერაცია "Minerva 2018". ერთობლივი ოპერაცია მოიცავდა ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორებიცაა სასაზღვრო თვალთვალი და კონტროლი, პირთა იდენტიფიკაცია, დოკუმენტების შემოწმება და ისეთი ტრანსსასაზღვრო დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა, როგორებიცაა მიგრანტთა უკანონო გადაყვანა, ტრეფიკინგი, ნარკოტიკების კონტრაბანდა და სხვა. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის II განყოფილების (ბათუმის პორტი) 1-მა თანამშრომელმა.

2018 წლის 9-10 ოქტომბერს ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი მიგრანტთა უფლებებზე (მოიცავდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირებისა და დაცვის საკითხებსაც). საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 11 თანამშრომელმა.

საქმიანობა 5.1.4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის გამომძიებლების, უბნის ინსპექტორების, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების, რაიონული განყოფილების თანამშრომლების სისტემატური გადამზადება და მათთვის ახალი ტენდენციების გაცნობა ტრეფიკინგის საქმეების გამოძიებისა და მსხვერპლთან/დაზარალებულთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით;

საქმიანობა 5.1.5 სპეციალისტების ჯგუფის წევრების (Task Force) გადამზადება ტრეფიკინგის თემაზე და მათთვის ახალი ტენდენციების გაცნობა სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთა გამოვლენასა და მათთან მოპყრობასთან დაკავშირებით

ინდიკატორი: *გადამზადებული პერსონალის რაოდენობა, ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა; ტრენინგების მონაწილეების მიერ შევსებული შეფასების ფორმების რაოდენობა და მათი შინაარსი*

2017-2018 წლებში 5.1.4 და 5.1.5 საქმიანობებით გათვალისწინებული სამიზნე ჯგუფების მონაწილეობით ჩატარდა შემდეგი კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები:

- 2017 წლის 8-14 იანვარს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ქ. ბუდაპეშტში აშშ-ს საელჩოსმიერ ორგანიზებულ სასწავლო კურსში თემაზე "პორნოგრაფიული შინაარსის მასალის ინტერნეტ სფეროში აღმოჩენა და მსგავსი ფაქტების აღმოფხვრა."
- 2017 წლის 14-16 მარტს საქართველოს მთავარ პროკურატურაში შრომითი ექსპლუატაციის, განსაკუთრებით კი არასრულწლოვანთა შრომითი ექსპლუატაციის თემაზე, პროკურორებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლებისთვის ერთობლივი ტრენინგი ჩატარდა. პროექტი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობითა და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით განხორციელდა. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო თბილისისა და აჭარის პროკურატურის 8, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებისა და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის 10-მა თანამშრომელმა.
- 2017 წლის 23 აპრილს - 6 მაისს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომელმა საფრანგეთში გაიარა საფრანგეთის საელჩოს მიერ ორგანიზებული სტაჟირება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.
- 2017 წლის 31 მაისს -1 ივნისს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (1), შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა (1) და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მომუშავე (1) თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. გოტენბურგში, შვედეთში ორგანიზებულ სემინარში. ფარგლებშიც აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის მონაწილე სახელმწიფოებმა, მათ შორის საქართველომ წარადგინა ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით სახელმწიფო პოლიტიკა, როგორც საკანონმდებლო ისე ინსტიტუციურ დონეზე. ამავე პროგრამის დასკვნით ღონისძიებაში, რომელიც გაიმართა 2018 წლის 14-15 მარტს, ქ.სტოკჰოლმში, შვედეთში, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა (სულ 5 მონაწილე).2017 წლის 7-25 აგვისტოს, ქ. გარმიშ–პარტენკირხენში, გერმანიაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო აშშ საელჩოსა და ჯორჯ მარშალის სახელობის უშიშროების სწავლებათა ევროპული

ცენტრის მიერ ორგანიზებულ სასწავლო კურსში ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის თემაზე (CTOC). განსახილველი საკითხები ასევე შეეხებოდა ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს).

- 2017 წლის 7-10 აგვისტოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ქ. დალასში, ამერიკაში გამართულ 29–ე წლიურ კონფერენციაში თემაზე „ბავშვთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“. კონფერენციის ორგანიზატორი სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიურო (INL) იყო.
- 2017 წლის 21-22 სექტემბერს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 3 თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტთან და გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან (FBI) მჭიდრო თანამშრომლობით საქართველოს მთავარ პროკურატურაში განხორციელებულ ტრენინგში თემაზე - სამართლებრივი დახმარებისა და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა.
- 2017 წლის 10-12 ოქტომბერს, ქ. ბათუმში, მიგრაციის საერთაშორისო ცენტრისმიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის და ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ქ. ბათუმში სექსუალური ექსპლუატაციის თემაზე ტრენინგი გაიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურის, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებისთვის. ტრენინგს უძღვებოდნენ ბრიტანელი და ავსტრიელი ექსპერტები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაწილეობა მიიღეს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის (2), ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის (5), იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის (1), კახეთის პოლიციის დეპარტამენტის (1), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის (1), შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტისა(1) და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის (1) თანამშრომლებმა.
- 2017 წლის 16 ოქტომბერს - 1 დეკემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის (1), ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთი, რაჭა/ლეჩხუმის, გურიის, სამეგრელო– ზემო სვანეთის, მცხეთა–მთიანეთის, აჭარისა და კახეთის პოლიციის დეპარტამენტების (სულ 8), სასაზღვრო პოლიციის (2), გენერალური ინსპექციის (2), განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისა (1) და საპატრულო პოლიციის (1) თანამშრომლებმა (სულ 15 მონაწილე) მონაწილეობა მიიღეს ქ. ბუდაპეშტში, უნგრეთში, საერთაშორისო სამართალდამცავთა აკადემიისა (ILEA) და აშშ სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მიერ ორგანიზებულ ლიდერ სამართალდამცავთა განვითარების კურსში LELD. ერთ-ერთი განსახილველი საკითხი იყო ორგანიზებული დანაშაული და ტრეფიკინგი.

- 2017 წლის 14-16 მარტს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპარულო პოლიციისა (1) და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის (1) თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ვარშავაში, პოლონეთში, Frontex-ის პროექტის „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესაძლებლობების განვითარება საზღვრის ინტეგრირებული მართვის სფეროში (EaP IBM CB)“ ფარგლებში ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში, რომელის მიზანი კონტრზომების ვეგა სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული საკითხების განხილვა იყო. შეხვედრაზე განხილულ იყო, ასევე, ტრანსსასაზღვრო დანაშაული, ტრეფიკინგი, არასრულწლოვნებთან დაკავშირებული გამოძიება და სხვა.
- 2017 წლის 28-29 ნოემბერს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ქ. ტაშკენტში, ეუთოს (OSCE) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ოფისის (ODIHR) მიერ ორგანიზებულ სემინარში თემაზე ,,წარმოშობის, სატრანზიტო და საბოლოო დანიშნულების ქვეყნებში ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა.“
- 2017 წლის 11-15 დეკემებრს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის ორგანიზატორი და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს 2 თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღეს აშშ სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მიერ ორგანიზებულ კურსში თემაზე დაკითხვა/გამოკითხვის ტექნიკა.
- 2018 წლის 14-15 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (1), პროკურატურისა (1) და შინაგან საქმეთა სამინისტროს (3) თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. სტოკჰოლმში გამართულ ვიზიტში, რომელიც მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით არსებული გამოცდილების გაზიარებას. ღონისძიება განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა" ფარგლებში. მონაწილეებმა გამოცდილება გაუზიარეს მათ შვედ, მოლდოველ, უკრაინელ და სომეხ კოლეგებს.
- 2018 წლის 16-20 აპრილს, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების 2 თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ქ. ბუდაპეშტში ორგანიზებულ ტრენინგში თემაზე სამართალდამცავებისთვის შესაძლებლობების განვითარება ტრეფიკინგის მონიტორინგის განხორციელების და მასთან ბრძოლის კუთხით.“2018 წლის 23-24 აპრილს, ვენაში ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) მიერ ორგანიზებულ ტრენინგში თემაზე „ალიანსი ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ.“
- 2018 წლის 25-26 აპრილს, არასამთავრობო ორგანიზაცია “ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების“ ორგანიზებით “ესტონურ-ქართული ცოდნისა და გამოცდილების გაერთიანება ქალთა და ბავშვთა უფლებების მხარდაჭერისთვის აჭარის

რეგიონში” პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების გამოძიება“. მონაწილეობა მიიღო აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების 2 თანამშრომელმა.

- 2018 წლის 5-7 ივნისს, კიშინოვში ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და იუსტიციის სამინისტროს ორმა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო სამუშაო შეხვედრაში შესაძლებლობათა განვითარება ტრანსსასაზღვრო სისხლის სამართლებრივი თანამშრომლობის, ეროვნული ანგარიშგების სისტემისა და ტრეფიკინგთან ბრძოლის მექანიზმების მიმართულებით.
- 2018 წლის 19-20 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ორგანიზებით, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა ტრენინგი თემაზე: „უწყებათაშორისი კოორდინაციის მნიშვნელობა ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სფეროში“. მონაწილეობა მიიღო შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა (ჯამში 4 მონაწილე).
- 2018 წლის 27 ივნისს, ქ. კიშინოვში ცენტრალური კრიმინალური პოლიციის 3 თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო სამუშაო შეხვედრაში თემაზე "ექსპლუატაციის ახალი ფორმები - გამოწვევები აღმოსავლეთ ევროპაში ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის გამოძიების მიმართულებით."
- 2018 წლის 10-12 ივლისს იუსტიციის სამინისტროს, მთავარი პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ორგანიზებით ტრეფიკინგზე და მასთან მომიჯნავე დანაშაულებზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლებისგან შემდგარი 3 ჯგუფისთვის ჩატარდა 1-დღიანი ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე და ამ მიმართულებით სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე. მონაწილეთა რაოდენობა - 36.
- 2018 წლის 24-28 სექტემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 2-მა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მიერ ქ. ასტანაში ორგანიზებულ საერთაშორისო სიმულაციური ტრენინგში ტრეფიკინგის თემაზე (2 მონაწილე).
- 2018 წლის 01 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ტრეფიკინგის თემატიკაზე საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ გამართულ 3 ტრენინგზე მონაწილეობა მიიღო შსს-ს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს 10 თანამშრომელმა.

საქმიანობა 5.1.6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომელთა გადამზადება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე

ინდიკატორი: *გადამზადებული პერსონალის რაოდენობა, ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა; ტრენინგების მონაწილეების მიერ შევსებული შეფასების ფორმების რაოდენობა და მათი შინაარსი*

2018 წლის 9-10 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 2-მა თანაშრომელმა მონაწილეობა მიიღო ტრენინგში - „მიგრანტთა უფლებები“. აღნიშნული ტრენინგი ორგანიზებული იყო ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მიერ და მოიცავდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირებისა და დაცვის საკითხებსაც.

ამოცანა 5.2. სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა პროფესიული განვითარება

საქმიანობა 5.2.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე მოსამართლეებისა და მათი თანაშემწეების გადამზადება

ინდიკატორი: *გადამზადებული მოსამართლეებისა და მოსამართლეთა თანაშემწეების რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა; ტრენინგების მონაწილეების მიერ შევსებული შეფასების ფორმების რაოდენობა და მათი შინაარსი*

იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ, 2017 წელს ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით შემუშავებული სასწავლო მოდულის საფუძველზე, ჩაატარა 2 ტრენინგი, რომლებსაც დაესწრო 13 მოსამართლე და 5 სასამართლო მოხელე. 2018 წელს ასევე ჩატარდა 2 ტრენინგი, რომელაც დაესწრო 4 მოსამართლე და 23 სასამართლო მოხელე.

ამოცანა 5.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

საქმიანობა 5.3.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის პერსონალის უნარ-ჩვევების ამაღლება ტრენინგების გზით

ინდიკატორი: *გადამზადებული პერსონალის რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა; ტრენინგების მონაწილეების მიერ შევსებული შეფასების ფორმების რაოდენობა და მათი შინაარსი*

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თანამშროლების კვალიფიკაციის ამაღლებისა ტრეფიკინგის მსხვერპლებთან ეფექტიანი მუშაობის მიზნით 2017-2018 წლებში ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:

- 2017 წლის 25 და 27 თებერვალს, პროექტის ,,ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია“ ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: ,,მომსახურების გაწევის საკითხები სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის“ (მონაწილეთა რაოდენობა- 28);
- 2017 წლის 27 აპრილს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) პარტნიორობით ტრეფიკინგის თემაზე ტრენინგი გაიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა ყოფილ სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, სახელმწიფო ფონდისა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისთვის (სულ 30 მონაწილე). ტრენინგისთვის მოწვეული იყო ორი უცხოელი ექსპერტი ICMPD-დან და ავსტრიიდან.
- 2017 წლის 6-7, 8-9 და 15-16 ივნისს, შვედური ორგანიზაცია RFSU მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაცია საინფორმაციო-სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრის ,,თანადგომა“ მიერ ჩატარდა ტრენინგი თემაზე: ,,საგანმანათლებლო მუშაობის სპეციფიკა, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვის საკითხები“ (მონაწილეთა რაოდენობა 14);
- 2017 წლის 24-26 და 28-30 ივნისს, პროექტის ,,ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია“ ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი, ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მხვერპლთა მომსახურებებზე (მონაწილეთა რაოდენობა-17);
- 2017 წლის 9-12 ოქტომბერს, პროექტის ,,ოჯახში ძალადობის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: ,,სოციალური მუშაობა მიუსაფარი ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით.“ მონაწილეობა მიიღო თბილისის თავშესაფრის სოციალურმა მუშაკმა;
- 2017 წლის 10-12 ოქტომბერს, ქ. ბათუმში, მიგრაციის საერთაშორისო ცენტრისმიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის და ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ქ. ბათუმში ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის თემაზე ტრენინგი გაიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურის, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებისთვის. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ფონდის თავშესაფრების 5-მა თანამშრომელმა;
- 2017 წლის 16-19 ოქტომბერს, პროექტის ,,ოჯახში ძალადობის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: ,,სოციალური მუშაობა მიუსაფარი ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით.“ მონაწილეობა მიიღო თბილისის კრიზისული ცენტრის და ბათუმის თავშესაფრის 2-მა სოციალურმა მუშაკმა;
- 2017 წლის 6-7 დეკემბერს, ფონდის პროექტის ,,ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის პრევენცია“ ფარგლებში ფონდის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და ფსიქოლოგებისთვის ჩატარდა ტრენინგი, თემაზე - ბენეფიციართა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია (მონაწილეთა რაოდენობა-12);

- 2017 წლის 13-24 დეკემბერს, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის (GASW) მიერ ფონდის პროექტის " „გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში სტრუქტურული ერთეულების სოციალური მუშაკებისთვის ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: ,,ძალადობის მსხვერპლებთან სოციალური მუშაობის საკითხები“ (მონაწილეთა რაოდენობა-2);
- 2017 წლის 16-17 დეკემბერს, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის (GASW) მიერ ფონდის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების, იურისტების, ფსიქოლოგების და ცენტრალური აპარატის მონიტორინგის, შეფასებისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: ,,ძალადობის მსხვერპლებთან სოციალური მუშაობის საკითხები“ (მონაწილეთა რაოდენობა-11).2018 25-26 აპრილს, ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების მიერ, პროექტის ,,ესტონურ-ქართული ცოდნისა და გამოცდილების გაერთიანება ქალთა და ბავშვთა უფლებების მხარდაჭერისთვის აჭარის რეგიონში“ ფარგლებში, ფონდის სტრუქტურული ერთეულის (ბათუმის თავშესაფარი) თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების გამოძიება“ (მონაწილეთა რაოდენობა-2);2018 19-20 ივნისს, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) და იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით ფონდის ცენტრალური აპარატის და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: ,,უწყებათაშორისი კოორდინაციის მნიშვნელობა ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სფეროში“ (მონაწილეთა რაოდენობა - 12);
- 2018 17-19 ივლისს, ფონდის პროექტის (USAID) ,,საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“ მიერ ფონდის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: ,,სოციალური მუშაობის პასუხი გენდერის ნიშნით ძალადობაზე“ (მონაწილეთა რაოდენობა-2);
- 2018 03-07 დეკემბერს, ფონდის პროექტის ,,ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია (UN Women) ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი ფსიქოლოგებისთვის (მონაწილეთა რაოდენობა-2);
- 2018 22-23 და 25-26 დეკემბერს, ფონდის პროექტის (UN WOMEN) ,,ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენციის"ფარგლებში, შპს საქართველოს იურისტთა უმაღლესი სკოლის მიერ ფონდის სტრუქტურული და ცენტრალური აპარატის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი სოგიე (ლგბტ) თემაზე (მონაწილეთა რაოდენობა -12).

ამოცანა 5.4. შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

საქმიანობა 5.4.1. იძულებითი შრომის და შრომითი ექსპლუატაციის გამოვლენის ხელშეწყობის მიზნით შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე

ინდიკატორი: *გადამზადებული პერსონალის რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა; ტრენინგების მონაწილეების მიერ შევსებული შეფასების ფორმების რაოდენობა და მათი შინაარსი*

2017 წლის 29 მაისს -1 ივნისს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) მჭიდრო თანამშრომლობითა და ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით 25 შრომის ინსპექტორისთვის ორ ჯგუფად ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის თემაზე. მოწვეული იყვნენ ბელგიელი ექსპერტები. ტრენინგის ფარგლებში დეპარტამენტის თანამშრომლები გაეცნენ როგორც ევროპულ პრაქტიკას, ისე ეროვნულ და საერთაშორისო მექანიზმებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლასა და შრომითი ექსპლუატაციასთან დაკავშირებით.

2018 19-20 ივნისს, იუსტიციის სამინისტროს და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ორგანიზებით გამართულ ტრენინგში, თემაზე: ,,უწყებათაშორისი კოორდინაციის მნიშვნელობა ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სფეროში“ მონაწილეობა მიიღო 11-მა შრომის ინსპექტორმა.

ამოცანა 5.5. საკონსულოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

საქმიანობა 5.5.1. საკონსულოს თანამშრომელთა გადამზადება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთან მოპყრობისა და დახმარების საკითხთან დაკავშირებით

ინდიკატორი: *გადამზადებული პერსონალის რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა; ტრენინგების მონაწილეების მიერ შევსებული შეფასების ფორმების რაოდენობა და მათი შინაარსი*

2018 წლის 28-29 მარტს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით ქ. ათენში, საბერძნეთში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლებისა და საკონსულო დაწესებულებების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგ კურსი ტრეფიკინგის საკითხებზე. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს თესალონიკში, სტამბულსა და ტრაბზონში საქართველოს საკონსულო დაწესებულებების კონსულებმა და თურქეთში, იტალიასა და საბერძნეთში საქართველოს საელჩოების საკონსულო წარმომადგენლებმა.

საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალურ სასწავლო პროგრამის კურსის ფარგლებში, რომელიც ჩატარდა 2018 წლის 16 აპრილიდან 12 ივნისის პერიოდში, შეტანილ იქნა ტრეფიკინგის მოდული (გადამზადდა 48 მონაწილე).

2018 წლის 10-15 დეკემბერს ქ. თბილისში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ საკონსულო თანამდებობის პირთა შეკრების ფარგლებში 56 საკონსულო თანამდებობის პირი გადამზადდა ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთან მოპყრობის, მათი დახმარებისა და რეფერირების საკითხებთან დაკავშირებით.

ამოცანა 5.6. მედიის წარმომადგენლების პროფესიული განვითარება

საქმიანობა 5.6.1. მედიის წარმომადგენლების გადამზადება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე

ინდიკატორი: *გადამზადებული პერსონალის რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა; ტრენინგების მონაწილეების მიერ შევსებული შეფასების ფორმების რაოდენობა და მათი შინაარსი*

2017 წლის 9 აგვისტოს არასამთავრობო ორგანიზაცია ,,სიდას" ორგანიზებით ქუთაისის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა ტრენინგი რეგიონული მედიის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის მიგრაციის აქტუალურ საკითხებზე. ტრეფიკინგის ფონდის წარმომადგენელმა ისაუბრა თემაზე ,,შრომითი ექსპლოატაციის/ტრეფიკინგის საფრთხეები და პრევენციის გზები." ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ტრეფიკინგის კანონმდებლობასა და მასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის თაობაზე. დამსწრეთა რაოდენობა - 20.

2017 წლის 21 სექტემბერს, ქ. ბათუმში ანალოგიური ტრენინგი გაიმართა რეგიონული მედიის, ადგიოლბრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის მიგრაციის აქტუალურ საკითხებზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო) ისაუბრა თემაზე ,,შრომითი ექსპლოატაციის/ტრეფიკინგის საფრთხეები და პრევენციის გზები."

2018 წლის 16-17 ივნისს, ქ. ბორჯომში, სიდას ორგანიზებით, პროექტ „პარტნიორობა მიგრანტთა უფლებებისთვის" ფარგლებში მედიის წარმომადგენლებისა და ჟურნალისტებისთვის გაიმართა ტრენინგი მიგრაციის საკითხებზე. ტრენინგის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა, ერთ-ერთი სესიის დროს ისაუბრა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე (20-მდე მონაწილე).

ამოცანა 5.7. იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

საქმიანობა 5.7.1. ტრენინგების გზით იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე

ინდიკატორი: *გადამზადებული პერსონალის რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა; ტრენინგების მონაწილეების მიერ შევსებული შეფასების ფორმების რაოდენობა და მათი შინაარსი*

იუსტიციის სამინისტროსა და ICMPD-ის ერთობლივი ორგანიზებით, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის სახელმწიფო ფონდის მხარდაჭერით, 2018 წლის 10 და 11 დეკემბერს, ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა ორი ჯგუფისთვის გაიმართა ტრენინგი თემაზე „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და თანამედროვე ტენდენციები“(სულ 30 მონაწილე).

ამოცანა 5.8. იუსტიციის სახლების, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებისა და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

საქმიანობა 5.8.1 ტრენინგების გზით იუსტიციის სახლების, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებისა და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე

ინდიკატორი: *გადამზადებული პერსონალის რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა; ტრენინგების მონაწილეების მიერ შევსებული შეფასების ფორმების რაოდენობა და მათი შინაარსი*

2018 წლის 22 ნოემბერს, იუსტიციის სამინისტროსა და ICMPD-ის ერთობლივი ორგანიზებით, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის სახელმწიფო ფონდის მხარდაჭერით გაიმართა ტრენინგი იუსტიციის სახლებისა და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომლებისათვის თემაზე „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და თანამედროვე ტენდენციები“. მონაწილეთა რაოდენობა-15.

ამოცანა 5.10. შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

საქმიანობა 5.10.1. ტრენინგების გზით შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება დამწაშავეთა გამოვლენის მიზნით

ინდიკატორი: *გადამზადებული პერსონალის რაოდენობა; ტრენინგების რაოდენობა და თემატიკა; ტრენინგების მონაწილეების მიერ შევსებული შეფასების ფორმების რაოდენობა და მათი შინაარსი*

2018 წლის 26-27 ივნისს, შსს-ს აკადემიაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებისა და შვედი ექსპერტების ჩართულობით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე 2-დღიანი ტრენინგი გაიმართა სასაზღვრო გამტარ და საბაჟო გამშვებ პუნქტებში მომუშავე პერსონალისთვის. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო შემოსავლების სამსახურის 15-მა თანამშრომელმა.

ამოცანა 5.11. ქუჩაში მცხოვრები ან/და ქუჩაში მომუშავე ბავშვთა ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება

საქმიანობა 5.11.1. ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის განხილვა/ანალიზი ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების მიზნით

ინდიკატორი: *გამართული შეხვედრების რაოდენობა და განხილული საკითხების თემატიკა;*

შრომითი ექსპლუატაციის პრაქტიკის, მათ შორის ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებში შრომითი ტრეფიკინგის გამოვლენის მიზნით 2017 წელს შეიქმნა შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის სამუშაო ჯგუფი, საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლებისა და შრომის ინსპექტორების მონაწილეობით. 2017 წლის 2 ოქტომბერს გაიმართა პირველი სამუშაო შეხვედრა, სადაც დაიგეგმა შრომითი ექსპლუატაციის ფაქტების გამოსავლენად სამუშაო ჯგუფში მონაწილე უწყებების მიერ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

2018 წლის განმავლობაში ჩატარდა ორი სამუშაო შეხვედრა. აშშ-ის საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით, ბორჯომში, 2018 წლის 4-5 დეკემბერს შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის სამუშაო ჯგუფისა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ყველა მონაწილე უწყებამ წარმოადგინა მოხსენება შრომითი ტრეფიკინგის შესახებ. საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველომ შეხვედრის მონაწილეებს ტრეფიკინგის სისხლის სამართლის საქმეების 2017-2018 წლების ანალიზი წარუდგინა. აღნიშნული შეხვედრის შემდგომ შემუშავდა შრომითი ტრეფიკინგის გამოვლენის სამუშაო ჯგუფის 2019 წლის საქმომედო გეგმა, რომლითაც გაიწერა აღნიშნულ სამუშაო ჯგუფში შემავალი უწყებების აქტივობები, პასუხისმგებელი უწყებები და შესრულების ვადები.

დამატებით აღსანიშნავია, რომ 2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტში მომზადდა კონცეფცია მიუსაფარ და ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან დაკავშირებით და იგი წარედგინა სხვა სახელმწიფო უწყებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. შეხვედრაზე, რომელიც 2018 წლის გაზაფხულზე გაიმართა, ზემოაღნიშნულ პრობლემებზე მომუშავე უწყებების თანამშრომლებთან ერთად განხილული იქნა კონცეფცია და ასევე, დაიგეგმა სამომავლო ღონისძიებები.

6. თანამშრომლობა და შიდა კოორდინაცია

ამოცანა 6.1. სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე ინფორმაციის შეგროვება

საქმიანობა 6.1.1. წელიწადში ერთხელ ხოლო საბჭოს სამდივნოს მოთხოვნის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში დადგენილ ვადაზე ადრე სახელმწიფო სტრუქტურების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე საბჭოს სამდივნოსთვის ინფორმაციის მიწოდება

ინდიკატორი: *მომზადებული პერიოდული ანგარიშები*

2017 – 2018 წლებში საბჭოს სამდივნო საერთაშორისო თუ ეროვნული დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე ანგარიშების მომზადების მიზნით პერიოდულად ითხოვდა ინფორმაციას სხვადასხვა უწყებისგან ტრეფიკინგის კუთხით განხორციელებული აქტივობების თაობაზე.

2017 წლის ბოლოს საბჭოს სამდივნომ სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდული (2017 წლის) ანგარიშის მომზადების მიზნით წევრი და პარტნიორი სამთავრობო უწყებებისაგან გამოითხოვა ინფორმაცია სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების შესახებ.

ამასთან, საბჭოს სამდივნომ 2017 წლის განმავლობაში პერიოდულად უზრუნველყო საქართველოში აშშ-ის საელჩოსათვის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შევსებული კითხვარის მიწოდება 2016-2017 და 2017-2018 წლების ანგარიშის მოსამზადებლად[4]. ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ამერიკის საანგარიშო პერიოდში საქართველოს მიერ ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

გარდა ამისა, საბჭოს სამდივნო პერიოდულად ითხოვდა ინფორმაციას შესაბამისი უწყებებისგან ტრეფიკინგის თაობაზე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისათვის ინფორმაციისა თუ ანგარიშების მიწოდების მიზნით. შედეგად, 2017 წლის განმავლობაში:

- მომზადდა ანგარიში მონობის თანამედროვე ფორმების, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის მიერ შედგენილი კითხვარის საფუძველზე;
- მომზადდა ანგარიში ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) მიერ 2016 წელს საქართველოს მიმართ გამოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- მომზადდა ინფორმაცია 2014– 2017 (8 სექტემბრის მდგომარეობით) წლების ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეების სტატისტიკური მონაცემების თაობაზე UNODC–სთვის მიწოდების მიზნით.

[4] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე ამერიკის საანგარიშო პერიოდი მოიცავს შუალედს ყოველი წლის 1 აპრილიდან მომდევნო წლის 31 მარტის ჩათვლით.

- მომზადდა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ" დამატებითი ოქმის შესრულების თაობაზე ანგარიში.
- მონობის თანამედროვე ფორმების, მისი მიზეზებისა და შედეგების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის მიერ შედგენილი კითხვარის საფუძველზე მომზადდა ანგარიში თემაზე „Gender dimensions of contemporary forms of slavery, its causes and consequences.“
- მომზადდა ანგარიში გაეროს უშიშროების საბჭოს 2017 წლის 21 ნოემბრის N2388 და 2017 წლის 5 ოქტომბრის N2880 რეზოლუციების შესრულების თაობაზე. რეზოლუციები შეეხება ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) შეიარაღებულ კონფლიქტსა და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში.

საქმიანობა 6.1.2. ტრეფიკინგის ახალი გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, განაჩენის დადგენის და პირისათვის ტრეფიკინგის მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის მინიჭების თაობაზე საბჭოს სამდივნოსთვის ინფორმაციის პროაქტიული შეტყობინება

ინდიკატორი: *შემუშავებული და გამოქვეყნებული სტატისტიკა*

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და ფონდის მიერ საბჭოს სამდივნოსთვის ინფორმაციის პროაქტიულად მიწოდების საფუძველზე სამდივნო აწარმოებს ერთიან სეგრეგირებულ სტატისტიკას ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, სასამართლოში გაგზავნილი საქმეების, მსჯავრდებისა და მსჯავრდებულთა, მსხვერპლებისა დაზარალებულების თაობაზე.

სტატისტიკური ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვით მუდმივად ქვეყნდება იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე: http://justice.gov.ge/Ministry/Index/357

ამოცანა 6.2. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება

საქმიანობა 6.2.1. ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების გზით სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის გაღრმავება სამოქალაქო საზოგადოებასთან

ინდიკატორი: *სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ერთობლივად განხორციელებული აქტივობები*

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებას ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში. სწორედ ამ

მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ყოველწლიურად აცხადებს საგრანტო კონკურსებს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

2017 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოაცხადა საგრანტო კონკურსი თემაზე „საინფორმაციო კამპანია ნარკოტიკების ავადმოხმარებით გამოწვეული ზიანისა და ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვთა მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის მიზნით.“ საგრანტო კონკურსის მესამე მიმართულება (ლოტი) შეეხება ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა ტრეფიკინგისგან დაცვის მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. კერძოდ, პროექტის სამიზნე რეგიონში (თბილისში, რუსთავში, გორში, ახალციხეში, ბორჯომში, ქუთაისში, ბათუმში, ქობულეთში, ზუგდიდში, ოზურგეთში, თელავში) საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის მათთვის მისაღები ფორმითა და საშუალებით, რაც ხელს შეუწყობს მათ ინფორმირებას იმ საფრთხეების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია არასრულწლოვნების ქუჩაში ცხოვრებასთან ან/და მუშაობასთან, მათთვის მოწყალების გაცემით ბავშვების ქუჩაში ყოფნის წახალისებასთან, ასევე, მიუსაფარი ბავშვების დაცვის მიზნით არსებულ სახელწიფო მექანიზმებსა და სერვისებზე. საგრანტო პროგრამა, ასევე, ითვალისწინებს საინფორმაციო მასალების დამზადება/გავრცელებას ადგილობრივ მოსახლეობაში. საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა არასამთავრობო ორგანიზაციამ “ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის. საგრანტო პროგრამის განხორციელება დაიწყო 2017 წლის 13 დეკემბრიდან და გაგრძელდა 6 თვის განმავლობაში.

გარდა ამისა, საბჭოს წევრი სამთავრობო უწყებები აქტიურად თანამშრომლობენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ტრეფიკინგის კუთხით პრევენციული, კვალიფიკაციის ამაღლების თუ სხვა სახის ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების კუთხით *(დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ინფორმაცია პრევენციის (მიზანი 2) და კვალიფიკაციის ამაღლების (მიზანი 5) მიზნების ქვეშ არსებული აქტივობების შესრულების თაობაზე ინფორმაცია).*

დამატებით აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 21 ივნისს იუსტიციის სამინისტროს ხელმძვანელობით, ტრეფიკინგთან ბრძოლის საბჭოს ინიციატივითა და ICMPD-სთან და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციასთან თანამშრომლობით სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ გაიმართა მრგვალი მაგიდა/დისკუსია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე. ღონისძიების მიზანი იყო ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღწევების განხილვა, ასევე, სამინისტროს 2016 წლის საგრანტო პროგრამის ფარგლებში მიუსაფარ ბავშვებზე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კვლევის პრეზენტაცია და ტრეფიკინგის კუთხით საქართველოში არსებული გამოწვევების განხილვა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ტრეფიკინგის საბჭოს წევრი სამთავრობო უწყებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ამერიკის საელჩოსა და იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამებში გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქმიანობა 6.2.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, მემორანდუმების განახლება ან/და გაფორმება

ინდიკატორი: *გაფორმებული/განახლებული მემორანდუმები*

ფონდი მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში 2017 წელს აქტიურად თანამშრომლობდა და უკვე არსებული მემორანდუმები განაახლა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში ჩართულ შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან:

- არასამთავრობო ორგანიზაცია, საქართველოს ქალთა დასაქმების ხელშემწყობი ასოციაცია ,,ამაგდარი“
- ა(ა) იპ საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი ,,თანადგომა“.
- ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი;
- ქალთა საინფორმაციო ცენტრი.

აღნიშნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა 2018 წელსაც გაგრძელდა ფონდი მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში.

ფონდმა 2018 წელს მემორანდუმი (2 წლით) განაახლა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM).

საქმიანობა 6.2.3. ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სფეროში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით სამოქალაქო პლატფორმის შექმნა

ინდიკატორი: *არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შექმნილი სამოქალაქო პლატფორმა*

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით სამოქალაქო სექტორის გაძლიერებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობის მიზნით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს 2016 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საბჭოს ფარგლებში სამოქალაქო პლატფორმის შექმნის თაობაზე. ამ მიზნით საბჭოს ფარგლებში ჩამოყალიბდა სამოქალაქო პლატფორმაზე მომუშავე დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილნი იყვნენ როგორც საბჭოს წევრი სამთავრობო უწყებები, ასევე, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. სამუშაო ჯგუფის ფუნქციას განისაზღვრა სამოქალაქო პლატფორმის მანდატისა და ფუნქციონირების საკითხის მომზადება.

სამოქალაქო პლატფორმის შექმნაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ცვლილებების პროექტი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის №281 დადგენილებაში, რომლის საფუძველზეც დამტკიცებულია ტრეფიკინგთან ბრძოლის საბჭოს დებულება. დადგენილებით განსაზღვრული იქნება სამოქალაქო პლატფორმის ფუნქციები, პლატფორმის წევრის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის საფუძვლები.

დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტი დაიგზავნა საბჭოს წევრ უწყებებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საბოლოო კომენტარებისათვის.

ამოცანა 6.3. ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

საქმიანობა 6.3.1. პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით

ინდიკატორი: სამთავრობათაშორისო შეხვედრების რაოდენობა; გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, 2017 წელს ხელი მოეწერა სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შეთანხმებას შვედეთის სამეფოსა და საქართველოს შორის, და ასევე დანაშაულის წინააღმდეგ ბროლის შეთანხმებას საბერძნეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის. გაფორმდა შეთანხმება საქართველოს შსს-სა და ჩინეთის სახალხო უსაფრთხოების სამინისტროს შორის.

მნიშვნელოვანი წარმატებაა, ასევე, 2017 წლის ივლისში ევროპოლთან შეთანხმების ძალაში შესვლა, რის საფუძველზეც საქართველო გახდა ევროპოლის ოპერატიული პარტნიორი ქვეყანა.

2018 წელს სამართალდაცვით სფეროში ასევე გაფორმდა შემდეგი შეთანხმებები:

- შეთანხმება „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის მეკავშირეობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ჰაagაში 2018 წლის 9 მარტს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან*;
- ერთობლივი განცხადება „საქართველოს მთავრობასა და შვედეთის მთავრობას შორის დანაშაულის, განსაკუთრებით კი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ზომების შემდგომი გაძლიერების შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. სტოკჰოლმში 2018 წლის 13 მარტს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან*;
- ტექნიკური შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სპეციალისტების ერთობლივი ჯგუფის

შექმნის თაობაზე“ – *ხელმოწერილია ქ. პარიზში 2018 წლის 4 ივლისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან*;

- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იტალიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერების თაობაზე“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2018 წლის 16 ივლისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან*;
- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფიჯის რესპუბლიკის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროს შორის საპოლიციო თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2018 წლის 24 სექტემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან*;

გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საბჭოს წამყვანი უწყება, აქტიურადაა ჩართული ტრეფიკინგის თემაზე სხვადასხვა სახელმწიფოსთან თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა შემდეგი სამთავრობათაშორისო შეხვედრები:

- 2017 წლის 23 მაისს საქართველოსა და თურქეთის იუსტიციის მინისტრებმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და მართლმსაჯულების სფეროში. თანამშრომლობა, ასევე, გულისხმობს პარტნიორობის გაღრმავებას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის, მათ შორის, ტრეფიკინგის, წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.
- 2017 წლის 30 მაისს - 2 ივნისს, აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის საპოლიციო თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ტრეფიკინგის თემაზე სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ. გოტენბურგში, შვედეთში. ვიზიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნებს (საქართველო, უკრაინა, სომხეთი, მოლდოვა) შორის ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით გამოცდილების გაზიარება და მონაწილე სახელმწიფოთა შესაბამის წარმომადგენელთა შორის პარტნიორული თანამშრომლობის დამყარების ხელშეწყობა.
- 2017 წლის 5-9 ივნისს სამართალდამცავ უწყებათა ტრენინგის სააგენტოს (CEPOL) გაცვლითი პროგრამის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უმასპინძლა მოდლოველ კოლეგას. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს გამოცდილების გაზიარება ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის თემაზე. ანალოგიური ვიზიტით, ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი იმყოფებოდა მოდლოვაში 2017 წლის 2-7 ივლისს.
- 2017 წლის 28 ივლისს, ტრეფიკინგთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი მიწვეული იყო კონფერენციაზე,

რომელიც გაიმართა ქ. განჯაში, აზერბაიჯანში. ვიზიტის მიზანი იყო აზერბაიჯანისათვის საქართველოს პოლიტიკის გაცნობა ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში.

- 2017 წლის 18 დეკემბერს ქ. ვარშავაში, პოლონეთში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლების ოფისის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, სადაც საქართველომ დამსწრე სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და არასამთავრობო სექტორს გააცნო ტრეფიკინგთან ბრძოლის ქართული პოლიტიკა.
- 2017 წლის 14 დეკემბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი ქართულის მოდელისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით მონაწილეობას იღებდა ეუთოს ეგიდით შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტის განახლების პროცესში, რომელიც შეეხება ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით არსებულ ეროვნული რეფერალურ მექანიზმებს.
- 2018 წლის 14-15 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (1), პროკურატურისა (1) და შინაგან საქმეთა სამინისტროს (3) თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. სტოკჰოლმში გამართულ ვიზიტში, რომელიც მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით არსებული გამოცდილების გაზიარებას. ღონისძიება განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა" ფარგლებში. მონაწილეებმა გამოცდილება გაუზიარეს მათ შვედ, მოლდოველ, უკრაინელ და სომეხ კოლეგებს.
- 2018 წლის 5-7 ივნისს, კიშინოვში ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და იუსტიციის სამინისტროს ორმა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო სამუშაო შეხვედრაში თემაზე „შესაძლებლობათა განვითარება ტრანსსასაზღვრო სისხლის სამართლებრივი თანამშრომლობის, ეროვნული ანგარიშგების სისტემისა და ტრეფიკინგთან ბრძოლის მექანიზმები“. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა დამსწრე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქვეყნების წარმომადგენლებს გაუზიარა გამოცდილება ტრეფიკინგთან ბრძოლის ქართული პოლიტიკის თაობაზე.
- 2018 წლის 10-13 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ორგანიზება გაუწია და უმასპინძლა უზბეკეთის რესპუბლიკის დელეგაციას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს გამოცდილების გაზიარების მიზნით. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა შინაგან საქმეთა სამინსიტროს, მთავარი პროკურატურის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლებს, თბილისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებსა და ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

ამოცანა 6.4. ახალი სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადება და დამტკიცება

საქმიანობა 6.4.1. საკოორდინაციო საბჭოს მიერ ტრეფიკინგთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა; სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება და საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა

ინდიკატორი: *შექმნილი სამუშაო ჯგუფი; შემუშავებული სამოქმედო გეგმის პროექტი; საბჭოს მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა*

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. პირველ ეტაპზე აღნიშნული სამუშაო ჯგუფი დაკომპლეტქდა სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებისგან, რათა შემუშავებულიყო სამოქედო გეგმის პირველადი ვერსია. შემუშავებული პირველადი ვერსია გაზიარებულ იქნა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სახალხო დამცველის აპარატსა და ამერიკის საელჩოსთან. მათი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე შეტანილ იქნა ცვლილებები სამოქმედო გეგმის პროექტში.

შედეგად, 2018 წლის 24 დეკემბერს ტრეფიკინგთან ბრძოლის საბჭომ დაამტკიცა ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის ქართული და ინგლისური ვერსია ხელმისაწვდომია იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებ. გვერდზე http://justice.gov.ge/Ministry/Index/334.

2017 წლის სტატისტიკა	143 პრიმა მუხლი (სრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი))			143 სეკუნდა მუხლი (არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი))			ჯამური რაოდენობა
	სექსუალური ექსპლუატაცია	შრომითი ექსპლუატაცია	ყიდვა/გაყიდვა	სექსუალური ექსპლუატაცია	შრომითი ექსპლუატაცია	ყიდვა/გაყიდვა	
გამოძიება	16	2[5]	0	0	1	2	21
სისხლისსამართლებრივი დევნა	4	0	0	0	0	0	4
სასამართლოში გაგზავნილი საქმე	4	0	0	0	0	0	4
განაჩენი (საქმეების რაოდენობა)	2	0	0	0	0	0	2
მსჯავრდებული	2	0	0	0	0	0	2
მსხვერპლი	3[6]	0	0	1	0	0	4
დაზარალებული	6	2	0	0	0	0	8

[5] 1 გამოძიება შეეხება როგორც სრულწლოვნით, ისე არასრულწლოვნით შრომითი ექსპლუატაციის სავარაუდო ფაქტს.

[6] სექსუალური ექსპლუატაციის 1 უზბეკ ქალს მიენიჭა როგორც მსხვერპლის, ისე დაზარალებულის სტატუსი.

2018 წლის სტატისტიკა	143 პრიმა მუხლი (სრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი))			143 სეკუნდა მუხლი (არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი))			
	სექსუალური ექსპლუატაცია	შრომითი ექსპლუატაცია	ყიდვა/გაყიდვა	სექსუალური ექსპლუატაცია	შრომითი ექსპლუატაცია	ყიდვა/გაყიდვა	ჯამური რაოდენობა
გამოძიება	12	2	0	0	5	2	21
სისხლისსამართლებრივი დევნა	3	0	0	0	2	2	7
სასამართლოში გაგზავნილი საქმე	3	0	0	0	1	1	5
განაჩენი (საქმეების რაოდენობა)	3	0	0	0	0	1	4
მსჯავრდებული	4	0	0	0	0	2	6
მსხვერპლი	2[7]	0	0	0	0	0	2
დაზარალებული	4	0	0	0	2	1	7

[7] ორივე მსხვერპლს მინიჭებული აქვს, ასევე, დაზარალებულის სტატუსი.